46		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{{(S)-1-[2-(2-ტრიფთორმეთილ-ჰირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდი
47		(E)-3-(4-{{(S)-1-[2-(2-ეთილ-ჰირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
48		(E)-N-ჰიდროქსი-3-[4-{{(S)-1-[2-(2-(1-ჰიდროქსი-1-მეთილ-ეთილ)-ჰირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ]-აკრილამიდი
49		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{{(S)-1-[2-(2-პირაზინ-2-ილ-ჰირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდი
50		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{{(S)-1-[2-(2-პირიდინ-3-ილ-ჰირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდი







51		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1H-პიროლო[2,3-ბ]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
52		(E)-3-(4-((S)-1-[2-(2-ტერცაბუტილ-1H-პიროლო[2,3-ბ]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
53		(E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[1-(2-იმიდაზო[1,2-ა]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდი
54		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(2-მეთილ-იმიდაზო[1,2-ა]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
55		(E)-3-(4-((S)-1-[2-(3,5-დიმეთილ-1-ფენილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
56		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(3-მეთილ-5-ფენილ-იზოქსაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
57		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(5-მეთილ-2-ფენილ-იქსაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი








58		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდი
59		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1-მეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდი
60		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1,3,5-ტრიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდი
61		(E)-3-(4-((S)-1-[2-(1-მესამ-ბუტილ-3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
62		(E)-3-(4-((S)-1-[2-(1-ციკლოპროპილმეთილ-3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
63		(E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[(S)-1-(2-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდი
64		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(4-მეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდი

65		(E)-3-(4-((S)-1-[2-(4-ბრომ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
66		(E)-3-(4-((S)-1-[2-(3,5-დიმეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
67		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(3,4,5-ტრიმეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
68		(E)-3-[4-((S)-1-{2-[3-(2,2-დიმეთილ-პროპილ)-5-ჰიდროქსი-4-მეთილ-პირაზოლ-1-ილ]-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი,
69		(E)-3-(4-((S)-1-[2-(4-ბრომ-3,5-დიმეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
70		(E)-3-(4-((S)-1-[2-(4-ბრომ-3-მეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
71		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(3-მეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი








72		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(5-მეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
73		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(3-ტრიფთორმეთილ-პირაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
74		(E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[1-(2-იმიდაზოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდი
75		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1-მეთილ-1H-[1,2,3]ტრიაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
76		(E)-3-[4-((S)-1-{2-[1-(2-ბენზილოქსი-ეთილ)-1H-[1,2,3]ტრიაზოლ-4-ილ]-ეთილ}-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
77		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1-ტრიმეთილსილანილმეთილ-1H-[1,2,3]ტრიაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი

78		(E)-3-(4-((S)-1-[2-(1-ბენზილ-1H-[1,2,3]ტრიაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
79		(E)-3-[4-((S)-1-[2-[1-(4-ამინო-ფენილ)-1H-[1,2,3]ტრიაზოლ-4-ილ]-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
80		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(2H-ტეტრაზოლ-5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
81		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(2-მეთილ-2H-ტეტრაზოლ-5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
82		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1-მეთილ-1H-ტეტრაზოლ-5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
83		(E)-N-ჰიდროქსი-3-[4-(1-[2-[3-ფენილ-1-(3-ტრიფთორმეთილ-ფენილ)-1H-პირაზოლ-4-ილ]-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-აკრილამიდი





84		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{(S)-1-[2-[(Z)-ჰიდროქსიმიმო-2-(5-მეთილ-1-ფენილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ}-აკრილამიდი
85		(E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[(S)-1-(2-პირაზოლ[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-პიპერიდინ-2-ილ]-ფენილ}-აკრილამიდი
86		(E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[(S)-1-(2-პირაზოლ[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-აზეპან-2-ილ]-ფენილ}-აკრილამიდი
87		3-[4-((E)-2-ჰიდროქსიკარბამოილ-ვინილ)-ფენილ]-4-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიპერაზინ-1-კარბონმჟავა მესამეუტილის როული ეთერი
88		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{4-მეთილ-1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიპერაზინ-2-ილ]-ფენილ}-აკრილამიდი
89		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიპერაზინ-2-ილ]-ფენილ}-აკრილამიდი

90		(E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[4-მეთილ-1-(2-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-პიპერაზინ-2-ილ]-ფენილ}-აკრილამიდი
91		(E)-3-{3-ფთორ-4-[(S)-1-(2-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
92		(E)-3-{3-ქლორ-4-[(S)-1-(2-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
93		(E)-3-{2-ფთორ-4-[(S)-1-(2-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
94		(E)-3-{3,5-დიფთორ-4-[(S)-1-(2-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ-ეთილ)-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
95		(E)-3-(4-{(S)-1-[2-(3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
96		(E)-3-(4-{(S)-1-[2-(1-ეთილ-3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი

97		(E)-3-(4-((S)-1-[2-(1-ბუტილ-3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
98		(E)-3-{4-[(S)-1-(2-ბენზოლსულფონილ-ეთილ)-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
99		(E)-3-(4-((S)-1-[2-(3,5-დიეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
100		(E)-3-(4-((S)-1-[2-(3-ტერცაბუტილ-5-მეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
101		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(2-იზოპროპილ-2H-ტეტრაზოლ-5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
102		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((S)-1-[2-(1-იზოპროპილ-1H-ტეტრაზოლ-5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილამიდი
103		(E)-N-ჰიდროქსი-3-[4-(1-{2-[2-(3,3,3-ტრიფთორ-პროპილ)-2H-ტეტრაზოლ-5-ილ]-ეთილ}-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-აკრილამიდი

104		(E)-3-(4-((S)-1-[2-(2-მესამ- ბუტილ-2H-ტეტრაზოლ-5-ილ)- ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)- ფენილ)-N-ჰიდროქსი- აკრილამიდი
105		(E)-3-(4-((S)-1-[2-(2- ციკლობუტილ-2H-ტეტრაზოლ- 5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2- ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი- აკრილამიდი
106		(E)-N-ჰიდროქსი-3-[4-((S)-1-{2-[2- (4-ნიტრო-ფენილ)-2H- ტეტრაზოლ-5-ილ]-ეთილ}- პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]- აკრილამიდი
107		(E)-N-ჰიდროქსი-3-[4-((S)-1-{2-[1- (4-ნიტრო-ფენილ)-1H- ტეტრაზოლ-5-ილ]-ეთილ}- პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]- აკრილამიდი
108		(E)-3-(4-((S)-1-[2-(5-მესამ- ბუტილ-1H-[1,2,3]ტრიაზოლ-4- ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)- ფენილ)-N-ჰიდროქსი- აკრილამიდი
109		(E)-3-[4-((S)-1-{2-[3,5-დიმეთილ- 1-(ტეტრაჰიდრო-პირან-4- ილმეთილ)-1H-პირაზოლ-4-ილ]- ეთილ}-პიროლიდინ-2-ილ)- ფენილ]-N-ჰიდროქსი- აკრილამიდი
110		(E)-N-ჰიდროქსი-3-(4-((R)-1-[2- (1,3,5-ტრიმეთილ-1H-პირაზოლ- 4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2- ილ)-ფენილ)-აკრილამიდი

111		N-ჰიდროქსი-3-(4-{{(R)-1-[2-(1,3,5-ტრიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-პროპიონამიდი
112		N-ჰიდროქსი-3-(4-{{(S)-1-[2-(1,3,5-ტრიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-პროპიონამიდი
113		N-ჰიდროქსი-3-[4-{{(S)-1-{2-[2-(1-ჰიდროქსი-1-მეთილ-ეთილ)-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ]-ეთილ}-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ]-პროპიონამიდი
114		N-ჰიდროქსი-3-[4-[(S)-1-(2-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ]-პროპიონამიდი
115		N-ჰიდროქსი-3-(4-{{(S)-1-[2-(1-იზოპროპილ-1H-ტეტრაზოლ-5-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-პროპიონამიდი
116		(E)-3-(4-{{(S)-1-[2-(1,5-დიმეთილ-3-ოქსო-2-ფენილ-2,3-დიჰიდრო-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი
117		(E)-3-(4-{{(R)-1-[2-(3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-N-ჰიდროქსი-აკრილამიდი

118		3-(4-((R)-1-[2-(3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-პროპიონამიდი
119		3-(4-((S)-1-[2-(3,5-დიმეთილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-პროპიონამიდი
120		N-ჰიდროქსი-3-[4-((R)-1-{2-[2-(1-ჰიდროქსი-1-მეთილ-ეთილ)-პირაზოლ-4-ილ]-2-ილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-პროპიონამიდი
121		N-ჰიდროქსი-3-{4-[(R)-1-(2-პირაზოლ-4-ილ)-2-ილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ}-პროპიონამიდი

[0064] მოცემული გამოგონება უზრუნველყოფს აგრეთვე აქ აღწერილი ნაერთების პროწამლებს. აქ გამოყენებული ტერმინის მიხედვით “პროწამალი” ეხება ნაერთს (“საწყისი ნაერთი”), რომლის ძუძუმწოვარში შეყვანის შემდეგ მისი ფუნქციური ჯგუფი აპროდუცირებს, აგენერირებს და ათავისუფლებს მოცემული გამოგონების ნაერთს (“აქტიურ ნაერთს”). პროწამლების მიღება შეიძლება აქტიურ ნაერთებში არსებული ფუნქციური ჯგუფების მოდიფიცირებით, იმგვარად, რომ მოდიფიკაციები შეიძლება მოცილებულ იქნას საწყისი ნაერთებიდან სტანდარტული პროცედურით ან *in vivo*. პროწამლების მაგალითები მოიცავს ნაერთებს, ერთი ან მეტი მოლეკულური ფრაგმენტით, რომლებიც მიერთებულია აქტიური ნაერთების ჰიდროქსილურ, ამინო, სულფჰიდრილურ ან კარბოქსილის ჯგუფთან და რომლებიც ძუძუმწოვარში შეყვანის შემდეგ იხლინება *in vivo* თავისუფალი ჰიდროქსილური, ამინო, სულფჰიდრილური ან კარბოქსილური ჯგუფის წარმოქმნით, შესაბამისად, რასაც მოსდევს აქტიური ნაერთის გამოთავისუფლება. პროწამლის მაგალითები მოიცავს მოცემული გამოგონების ნაერთებში ჰიდროქსი და ამინო ფუნქციური ჯგუფების აცეტატის, ფორმატის

და ბენზოატის წარმოებულებს. პროწამლების მიღება და გამოყენება განხილულია T. Higuchi and V. Stella, "Pro-drugs as Novel Delivery Systems," Vol. 14 of the A.C.S. Symposium Series, and in *Bioreversible Carriers in Drug Design*, ed. Edward B. Roche, American Pharmaceutical Association and Pergamon Press, 1987, რომელთა აღწერილობა ფაქტიურად მთლიანად ჩართულია აქ ლიტერატურული წყაროს სახით.

[0065] მოცემული გამოგონების თანახმად, ძუძუმწოვრის ორგანიზმში, ტექნიკის დონიდან ცნობილი ნაერთების ეთერული ფორმები შეიძლება მეტაბოლიზდეს თავისუფალ მჟავურ ფორმად, როგორიცაა თავისუფალი კარბონმჟავური ფორმები. ასეთი რთული ეთერების მაგალითები მოიცავს ალკილურ რთულ ეთერებს (მაგალითად, ალკილებს 1 - 10 ნახშირბადის ატომით), ციკლოალკილურ რთულ ეთერებს (მაგალითად, ციკლოალკილებს 3 - 10 ნახშირბადის ატომით), არილურ რთულ ეთერებს (მაგალითად, არილებს 6 - 14 ნახშირბადის ატომით, 6 - 10 ნახშირბადის ატომის ჩათვლით) და მათ ჰეტეროციკლურ ანალოგებს (მაგალითად, ჰეტეროციკლებს რგოლის 3 - 14 ატომით, რომელთაგან 1 - 3 ატომი შეიძლება შერჩეულ იქნას შემდეგიდან: O, N და S) და სპირტულ ნაშთებს, დამატებითი ჩამნაცვლებლებით. ზოგიერთ განხორციელებებში აქ აღწერილი ნაერთების რთული ეთერები შეიძლება იყოს C₁₋₁₀ ალკილური რთული ეთერები, როგორიცაა მეთილის რთული ეთერები, ეთილის რთული ეთერები, პროპილის რთული ეთერები, იზოპროპილის რთული ეთერები, ბუტილის რთული ეთერები, იზობუტილის რთული ეთერები, მესამ-ბუტილის რთული ეთერები, პენტილის რთული ეთერები, იზოპენტილის რთული ეთერები, ნეოპენტილის რთული ეთერები, ჰექსილის რთული ეთერები, ციკლოპროპილმეთილის რთული ეთერები და ბენზილის რთული ეთერები, C₃₋₁₀ ციკლოალკილური რთული ეთერები, როგორიცაა ციკლოპროპილის რთული ეთერები, ციკლობუტილის რთული ეთერები, ციკლოპენტილის რთული ეთერები ან არილური რთული ეთერები, როგორიცაა ფენილის რთული ეთერები და ტოლილის რთული ეთერი.

[0066] მოცემული გამოგონების ნაერთების ფარმაცევტულად მისაღები მარილები, მჟავური რადიკალით შეიძლება წარმოქმნილ იქნას ორგანული და არაორგანული ფუძეების გამოყენებით. დეპროტონირებისთვის არსებული ჰიდროქსილის რიცხვიდან გამომდინარე, განიხილება როგორც მონო, ასევე პოლიანიონური მარილები. შესაბამისი ფუძეებით ფორმირებული ხელსაყრელი

მარილები მოიცავს ლითონის მარილებს, როგორცაა ტუტე ლითონების ან ტუტე მიწათა ლითონების მარილები, მაგალითად, ნატრიუმის, კალიუმის ან მაგნიუმის მარილები; ამონიუმის მარილები და ორგანული ამინური მარილები, როგორცაა მორფოლინთან, თიომორფოლინთან, პიპერიდინთან, პიროლიდინთან წარმოქმნილი მარილები, მონო-, დი- ან ტრი-უდაბლესი ალკილამინები (მაგალითად, ეთილ-მესამ-ბუტილამინი, დიეთილამინი, დიიზოპროპილამინი, ტრიეთილამინი, ტრიბუტილამინი ან დიმეთილპროპილამინი) ან მონო-, დი- ან ტრიჰიდროქსი უდაბლესი ალკილამინები (მაგალითად, მონო-, დი- ან ტრიეთანოლამინი). არაორგანული ფუძეების არაშემომფარგვლელი მაგალითები მოიცავს: NaHCO_3 , Na_2CO_3 , KHCO_3 , K_2CO_3 , Cs_2CO_3 , LiOH , NaOH , KOH , NaH_2PO_4 , Na_2HPO_4 და Na_3PO_4 . შესაძლებელია შიგა მარილების ფორმირებაც. ანალოგიურად, როცა აქ აღწერილი ნაერთი შეიცავს ფუძე რადიკალს, მარილების ფორმირება შეიძლება ორგანული და არაორგანული მარილების გამოყენებით. მაგალითად, მარილები შეიძლება წარმოქმნილ იქნას ნებისმიერი შემდეგი მჟავებიდან: ძმარმჟავა, ბენზოლსულფონმჟავა, ბენზომჟავა, ქაფურსულფონმჟავა, ლიმონმჟავა, დიქლორძმარმჟავა, ეთენსულფონმჟავა, ჭიანჭველმჟავა, ფუმარმჟავა, გლუკონმჟავა, გლუტამინმჟავა, ჰიპურმჟავა, წყალბადბრომმჟავა, წყალბადქლორმჟავა, იზოთიონმჟავა, რძემჟავა, მალეინმჟავა, ვაშლმჟავა, მალონმჟავა, ნუშმჟავა, მეთანსულფონმჟავა, ღორწომჟავა, ნაფთალინსულფონმჟავა, აზოტმჟავა, მჟაუნმჟავა, პამმჟავა, პანტოთენმჟავა, ფოსფორმჟავა, ფთალმჟავა, პროპიონმჟავა, ქარვამჟავა, გოგირდმჟავა, დვინომჟავა, ტოლუოლსულფონმჟავა, ასევე სხვა ფარმაცევტულად მისაღები ცნობილი მჟავები.

[0067] შემდეგ ასპექტში, მოცემული გამოგონება უზრუნველყოფს ფარმაცევტულ კომპოზიციებს, რომლებიც მოიცავს აქ აღწერილ სულ მცირე, ერთ ნაერთს და ერთ ან მეტ ფარმაცევტულად მისაღებ მატარებელს, შემავესებელს ან გამაზავებელს. ასეთი მატარებლების მაგალითები კარგად არის ცნობილი სპეციალისტისთვის და მათი მიღება შესაძლებელია ცნობილი ფარმაცევტული პროცედურებით, რომლებიც აღწერილია, მაგალითად, *Remington: The Science and Practice of Pharmacy*, 20th edition, Alfonso R. Gennaro (ed.), Lippincott Williams & Wilkins, Baltimore, MD (2000). მათი აღწერილობა ფაქტიურად მთლიანად ჩართულია აქ ლიტერატურული წყაროს სახით. აქ გამოყენებულის

მიხედვით, “ფარმაცევტულად მისაღები” ეხება ნივთიერებას, რომელიც ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით, მისაღებია ფარმაცევტული გამოყენებისთვის და არ შედის არასასურველ ურთიერთქმედებაში აქტიურ ინგრედიენტთან. შესაბამისად, ფარმაცევტულად მისაღები მატარებლები ბიოლოგიურად მისაღებია და შეთავსებადია შემადგენლობის სხვა ინგრედიენტებთან. ფარმაცევტულ კომპოზიციებში შესაძლებელია დამატებითი აქტიური ინგრედიენტების ჩართვაც.

[0068] მოცემული გამოგონების ნაერთები ხელსაყრელია უჯრედში დეზაცეტილზას ინჰიბირებისთვის. შესაბამისად, მოცემული გამოგონების მეორე ასპექტი მოიცავს მოცემული გამოგონების ერთი ან მეტი ნაერთის (ან მათი მარილის, ჰიდრატის და რთული ეთერის) ან მოცემული გამოგონების ერთი ან მეტი ნაერთის შემცველი კომპოზიციის უჯრედთან კონტაქტირების ხერხებს. ზოგიერთ განხორციელებებში, კომპოზიცია შეიძლება დამატებით შეიცავდეს ერთ ან მეტ ფარმაცევტულად მისაღებ მატარებელს ან შემავსებლებს.

[0069] მოცემული გამოგონების ნაერთები ხელსაყრელია ძუძუმწოვრებში, მაგალითად, ადამიანში პათოლოგიური მდგომარეობის ან დარღვევის მკურნალობის, ინჰიბირების, პრევენციისა და დიაგნოსტირებისთვის. შესაბამისად, მოცემული გამოგონების შემდეგი ასპექტი მოიცავს მოცემული გამოგონების ნაერთით (ან მისი ფარმაცევტულად მისაღები მარილით, ჰიდრატით ან რთული ეთერით) ან მოცემული გამოგონების ერთი ან მეტი ნაერთის შემცველი ფარმაცევტული კომპოზიციით (ფარმაცევტულად მისაღებ მატარებელთან ერთად ან კომბინაციაში) ძუძუმწოვრების უზრუნველყოფის ხერხს. მოცემული გამოგონების ნაერთების შეყვანა შეიძლება ცალკე ან სხვა თერაპიულად ეფექტურ ნაერთებთან ან საშუალებებთან კომბინაციაში, პათოლოგიური მდგომარეობის ან დარღვევის მკურნალობის, ინჰიბირების, პრევენციისა ან დიაგნოსტირებისთვის. აქ გამოყენებული ტერმინი “თერაპიულად ეფექტური” ეხება ნივთიერებას ან ნივთიერების რაოდენობას, რომელიც ავლენს სასურველ ბიოლოგიურ აქტიურობას ან ეფექტს.

[0070] სხვადასხვა განხორციელებებში მოცემული გამოგონება დამატებით მოიცავს აქ აღწერილ ნაერთებს, როგორც აქტიურ თერაპიულ ნივთიერებებს, ისეთი პათოლოგიური მდგომარეობის ან დარღვევის მკურნალობისა და ინჰიბირებისთვის, როგორიცაა ერთი ან მეტი

დეზაცეტილახას მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ განპირობებული მდგომარეობა, მაგალითად, არასასურველი პროლიფერაციული მდგომარეობა; ნეიროდეგენერაციული დაავადება, ალცჰეიმერის დაავადების, ჰანტინგტონის დაავადების, რუბინშტეინ-ტეიბის სინდრომის, პარკინსონის დაავადების, კუნთოვანი დისტროფიის, სპინალური კუნთოვანი ატროფიის, რეტის სინდრომის და სხვ. ჩათვლით; კარდიოვასკულარული დაავადება, გულის უკმარისობის, გულის ჰიპერტროფიის, თრომბოზის და სხვ. ჩათვლით; აუტოიმუნური დაავადება, მგლურას, ათეროსკლეროზის, სკლეროდერმის და სხვ. ჩათვლით; ანთებითი დარღვევები, ართრიტის და ართრიტული მდგომარეობების (მაგალითად, ოსტეოართრიტი, რევმატოიდული ართრიტი და სხვ.) და სხვა ქრონიკული ანთებითი დარღვევების (მაგალითად, ქრონიკული ასთმა, არტერიული და პოსტ-ტრანსპლანტაციური ათეროსკლეროზი, ენდომეტრიოზი და სხვ.) ჩათვლით; არასასურველი იმუნოლოგიური პროცესები; ინსულტი; ასევე სოკოვანი ინფექციები. ზოგიერთ განხორციელებებში, არასასურველი პროლიფერაციული მდგომარეობა მოიცავს კიბოს (მაგალითად, ტვინის კიბო, თირკმლის კიბო, ღვიძლის კიბო, თირკმელზედა ჯირკვლის კიბო, შარდის ბუშტის კიბო, სარძევე ჯირკვლის კიბო, კუჭის კიბო, კუჭის სიმსივნეების ჩათვლით, საყლაპავი მილის კიბო, საკვერცხეების კიბო, მსხვილი ნაწლავის კიბო, სწორი ნაწლავის კიბო, წინამდებარე ჯირკვლის კიბო, პანკრეასის კიბო, ფილტვის კიბო, ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს ჩათვლით, საშოს კიბო, ფარისებრი ჯირკვლის კიბო, სარკომა, გლიობლასტომები, მრავლობითი მიელომა, გასტროინტესტინალური კიბო), სიმსივნეს, ფიბროზს და სხვ.; ნეოპლაზიას, ძუძუმწოვართა კარცინომის, ლეიკოზის და სხვ. ჩათვლით; ეპიდერმულ ჰიპერპროლიფერაციას, ფსორიაზის, წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერპლაზიის და სხვ. ჩათვლით. ზოგიერთ განხორციელებებში, მოცემული გამოგონება მოიცავს დეზაცეტილახებით განპირობებული პათოლოგიური მდგომარეობის ან დარღვევის მქონე ძუძუმწოვრის იდენტიფიცირებას და ძუძუმწოვრის უზრუნველყოფას აქ აღწერილი ნაერთის თერაპიულად ეფექტური რაოდენობით. ზოგიერთ განხორციელებებში, ხერხი მოიცავს ძუძუმწოვრებში აქ აღწერილი ნაერთის ფარმაცევტულად მისაღებ მატარებელთან ერთად ან კომბინაციაში, შემცველი ფარმაცევტული კომპოზიციის შეყვანას.

[0071] ზოგიერთ განხორციელებებში, ნაერთებს ფორმულით (I) იყენებენ შემდეგი ტიპის კიბოს მკურნალობისთვის. გულის: სარკომა (ანგიოსარკომა, ფიბროსარკომა, რაბდომიოსარკომა, ლიპოსარკომა), მიქსომა, რაბდომიომა, ფიბრომა, ლიპომა და ტერატომა; ფილტვის: ბრონქოგენული კარცინომა (ბრტყელუჯრედოვანი, არადიფერენცირებული წვრილუჯრედოვანი, არადიფერენცირებული მსხვილუჯრედოვანი, ადენოკარცინომა), ალვეოლარულ უჯრედოვანი (ბრონქიოლარული) კარცინომა, ბრონქიალური ადენომა, სარკომა, ლიმფომა, ქონდრომატოზური ჰამარტომა, ინეზოთელიომა; გასტროინტესტინალური: საყლაპავი მილის (ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, ადენოკარცინომა, ლეიომიოსარკომა, ლიმფომა), კუჭის (კარცინომა, ლიმფომა, ლეიომიოსარკომა), პანკრეასის (დუქტალური ადენოკარცინომა, ინსულინომა, გლუკაგონომა, გასტრინომა, კარცინოიდული სიმსივნეები, ვიპომა), წვრილი ნაწლავის (ადენოკარცინომა, ლიმფომა, კარცინოიდული სიმსივნეები, კაპოშის სარკომა, ლეიომიომა, ჰემანგიომა, ლიპომა, ნეიროფიბრომა, ფიბრომა), მსხვილი ნაწლავის (ადენოკარცინომა, ტუბულარული ადენომა, ხაოიანი ადენომა, ჰამარტომა, ლეიომიომა); უროგენიტალური ტრაქტი: თირკმლის (ადენოკარცინომა, ვილმის სიმსივნე [ნეფრობლასტომა], ლიმფომა, ლეიკოზი), შარდის ბუშტის და შარდსადენის (ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარდამავალ-უჯრედოვანი კარცინომა, ადენოკარცინომა), წინამდებარე ჯირკვლის (ადენოკარცინომა, სარკომა), სათესლის (სემინომა, ტერატომა, ემბრიონული კარცინომა, ტერატოკარცინომა, ქორიოკარცინომა, სარკომა, ინტერსტიციალური უჯრედების კარცინომა, ფიბრომა, ფიბროადენომა, ადენომატოიდური სიმსივნეები, ლიპომა); ღვიძლი: ჰეპატომა (ჰეპატო-ცელულარული კარცინომა), ქოლანგიოკარცინომა, ჰეპატობლასტომა, ანგიოსარკომა, ჰეპატოცელულარული ადენომა, ჰემანგიომა; ძვლები: ოსტეოგენული სარკომა (ოსტეოსარკომა), ფიბროსარკომა, ავთვისებიანი ფიბროზული ჰისტეოციტომა, ქონდროსარკომა, იუინგის სარკომა, ავთვისებიანი ლიმფომა (რეტეკულოსარკომა), მრავლობითი მიელომა, ავთვისებიანი გიგანტურ უჯრედოვანი სიმსივნური ქორდომა, ოსტეოქონდრომა (ძვლოვან-ხრტილოვანი ექზოსტოზები), კეთილთვისებიანი ქონდრომა, ქონდრობლასტომა, ქონდრომიქსოფიბრომა, ოსტეოიდური ოსტეომა და გიგანტურ უჯრედოვანი სიმსივნეები; ნერვული სისტემა: თავის ქალას (ოსტეომა, ჰემანგიომა, გრანულომა, ქსანტომა, მადეფორმირებელი ოსტიტი),

მენინგეალური (მენინგიომა, მენინგიოსარკომა, გლიომატოზი), ტვინის (ასტროციტომა, მედულობლასტომა, გლიომა, ეპენდიმომა, გერმინომა [პინეალომა], მულტიფორმიანი გლიობლასტომა, ოლიგოდენდროგლიომა, შვანომა, რეტინობლასტომა, თანდაყოლილი სიმსივნეები), ზურგის ტვინის ნეიროფიბრომა, მენინგიომა, გლიომა, სარკომა); გინეკოლოგიური: საშვილოსნოს (ენდომეტრიული კარცინომა), საშვილოსნოს ყელის (ცერვიკალური კარცინომა, პრესიმსივნური ცერვიკალური დისპლაზია), საკვერცხეების (საკვერცხის კარცინომა [სეროზული ცისტადენოკარცინომა, მუცინოზური ცისტადენოკარცინომა, არადიფერენცირებული კარცინომა], გრანულოზო-თეკალური უჯრედების სიმსივნეები, სერტოლი-ლეიდიგის უჯრედული სიმსივნეები, დისგერმინომა, ავთვისებიანი ტერატომა), ვულვა (ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, პრეინვაზიური კარცინომა, ადენოკარცინომა, ფიბროსარკომა, მელანომა), საშოს (მკრთალუჯრედოვანი კარცინომა, ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, ბოტრიოიდული სარკომა (ემბრიონული რაბდომიოსარკომა), ფალოპის მილების (კარცინომა); პედატოლოგიური: სისხლის (მიელოიდური ლეიკოზი [მწვავე და ქრონიკული], მწვავე ლიმფობლასტური ლეიკოზი, ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკოზი, მიელოპროლიფერაციული დაავადებები, მრავლობითი მიელომა, მიელოდისპლასტიკური სინდრომი), ჰოჯკინის დაავადება არა-ჰოჯკინის ლიმფომა [ავთვისებიანი ლიმფომა]; კანი: ავთვისებიანი მელანომა, ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა, ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, კაპოშის სარკომა, დისპლასტიკური ნევიდური სიმსივნე, ლიპომა, ანგიომა, დერმატოფიბრომა, კელოიდები, ფსორიაზი; თირკმელზედა ჯირკვლები: ნეირობლასტომა.

[0072] გულზე გაძლიერებული დატვირთვის საპასუხოდ გულის ჰიპერტროფია წარმოადგენს ფუნდამენტურ ადაპტაციურ მექანიზმს. ეს არის სპეციალიზებული პროცესი, რომელიც ასახავს უჯრედული ზომის და მასის (მაგრამ არა უჯრედული რიცხვის) ზრდას, როგორც ნერვული, ენდოკრინული ან მექანიკური სტიმულის ნებისმიერი კომბინაციის მოქმედების შედეგს. ჰიპერტენზია კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ჩართულია გულის ჰიპერტროფიაში და ხშირად გულის მწვავე უკმარისობის წინამორბედაა. გულის უკმარისობის დროს, მარცხენა პარკუჭი ჩვეულებრივ ჰიპერტროფირებული და გაფართოებულია, ხოლო სისტოლური ფუნქციის მაჩვენებლები, როგორიცაა გამოტყორცნის ფრაქცია, შემცირებულია. ცხადია,

რომ გულის ჰიპერტროფიული პასუხი რთული სინდრომია და იმ მექანიზმების გარკვევა, რომლებიც განაპირობებს გულის ჰიპერტროფიას, სასიკეთო გავლენას იქონიებს სხვადასხვა სტიმულის საპასუხოდ განვითარებული გულის ჰიპერტროფიის მკურნალობაზე.

[0073] ერთ-ერთ განხორციელებაში, გამოგონების ნაერთების გამოყენება უზრუნველყოფს გულის პათოლოგიურ ჰიპერტროფიის და გულის უკმარისობის პრევენციის ხერხს. ხერხი მოიცავს პაციენტში ჰისტონური დეზაცეტილაზას ინჰიბიტორის შეყვანას. შეყვანა ითვალისწინებს ინტრავენური, ორალური, ტრანსდერმული, უწყვეტი გამოთავისუფლების შემადგენლობის, სუპოზიტორების ან სუბლინგუალური გზების გამოყენებას. რისკის ქვეშ მყოფ პაციენტს ხშირად აქვს ხანგრძლივად მიმდინარე ჰიპერტენზია, რომელიც ძნელად ექვემდებარება მკურნალობას, თანდაყოლილი გულის მანკი, ქრონიკული ანგიინა და/ან გადატანილი მიოკარდიული ინფარქტი.

[0074] ერთ-ერთ განხორციელებაში, მოცემული გამოგონება უზრუნველყოფს HDAC ინჰიბიტორების გამოყენებას გულის ჰიპერტროფიის მკურნალობისთვის. მოცემული განაცხადის თანახმად, მკურნალობა ითვალისწინებს გულის ჰიპერტროფიის ერთი ან მეტი სიმპტომის შემცირებას. ეს სიმპტომებია: ფიზიკური დატვირთვის მიმართ შემცირებული ტოლერანტობა, გამოტყორცნილი სისხლის შემცირებული მოცულობა, მარცხენა პარკუჭის გაზრდილი ბოლო დიასტოლური წნევა, ფილტვის კიდურა კაპილარებში გაზრდილი გაჭედული წნევა, შემცირებული კარდიალური წუთმოცულობა და კარდიალური ინდექსი, ფილტვის არტერიაში გაზრდილი წნევა, მარცხენა პარკუჭის გაზრდილი ბოლო სისტოლური და დიასტოლური ზომები და მარცხენა პარკუჭის კედლის გაზრდილი დაძაბულობა, დაჭიმულობა და სისქე, რაც დამახასიათებელია მარჯვენა პარკუჭისთვისაც. გარდა ამისა, HDAC ინჰიბიტორების გამოყენებით, შესაძლებელია კარდიალური ჰიპერტროფიის და მასთან დაკავშირებული სიმპტომების პრევენცია.

[0075] მკურნალობის სქემა იცვლება კლინიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში ხელსაყრელია ხანგრძლივი დამხმარე თერაპია. ჰიპერტროფიის მკურნალობა სასურველია აგრეთვე პერიოდულად HDAC ინჰიბიტორებით, მაგალითად, დაავადების

გართულებებს შორის მოკლე შუალედებში. ამჟამად, ჩატარებული ტესტირება მიუთითებს, რომ HDAC ინჰიბიტორის ოპტიმალური დოზირება, არის ფაქტიურად მაქსიმალური დოზა, მნიშვნელოვანი ტოქსიკურობის გამოვლენამდე.

[0076] მეორე განხორციელებაში, გათვალისწინებულია HDAC ინჰიბიტორების გამოყენება სხვა თერაპიულ ზემოქმედებასთან კომბინაციაში. ამრიგად, ზემომოყვანილი თერაპიის გარდა, პაციენტს შეიძლება დაენიშნოს უფრო “სტანდარტული” მედიკამენტოზური თერაპია. სტანდარტული თერაპიული საშუალებები მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ე.წ. “ბეტა ბლოკატორებს”, ანტი-ჰიპერტენზიურ საშუალებებს, კარდიოტონიურ საშუალებებს, ანტი-თრომბოზულ საშუალებებს, ვაზოდილატატორებს, ჰორმონის ანტაგონისტებს, იონოტროპებს, დიურეტიკებს, ენდოთელინის ანტაგონისტებს, კალციუმის არხის ბლოკატორებს, ფოსფოდესთერაზას ინჰიბიტორებს, ACE ინჰიბიტორებს, ანგიოტენზინის, ტიპი 2 ანტაგონისტებს და ციტოკინის ბლოკატორებს/ინჰიბიტორებს.

[0077] მოცემული გამოგონების HDAC ინჰიბიტორის გამოყენება ხელსაყრელია სხვა ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნაერთთან ერთად ანდა ორ ან მეტ ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნაერთთან ერთად კომბინაციაში. მაგალითად, ნაერთი ფორმულით (I) ან მისი ფარმაცევტულად მისაღები მარილი შეიძლება შეყვანილ იქნას ერთდროულად, თანამიმდევრობით ან ცალ-ცალკე, კომბინაციაში ერთ ან მეტ აგენტთან, რომლებიც შერჩეულია ქიმიოთერაპიული აგენტებიდან, მაგალითად, მიტოზური ინჰიბიტორებიდან, როგორიცაა ტაქსანი, გველის სუროს ალკალოიდები, პაკლიტაქსელი, დოცეტაქსელი, ვინკრისტინი, ვინბლასტინი, ვინორელბინი ან ვინფლუნინი, ასევე სხვა კიბოს საწინააღმდეგო აგენტებიდან, როგორიცაა ცისპლატინი, 5-ფთორურაცილი ან 5-ფთორ-24(1H,3H)-პირიმიდინდიონი (5FU), ფლუტამიდი ან გემციტაბინი.

[0078] ასეთი კომბინაციები იძლევა მნიშვნელოვან თერაპიულ უპირატესობას, სინერგისტული აქტიურობის ჩათვლით.

[0079] ნაერთის ფორმულით (I) გამოყენება ხელსაყრელია სხვა ანტიპროლიფერაციულ ნაერთებთან კომბინაციაში. ასეთი ანტიპროლიფერაციული ნაერთები მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, არომატაზას ინჰიბიტორებს; ანტიესტროგენებს; ტოპოიზომერაზას I

ინჰიბიტორებს; ტოპოიზომერაზას II ინჰიბიტორებს; მიკრომილაკების აქტიურ ნაერთებს; მაალკილირებელ ნაერთებს; უჯრედული დიფერენციაციის პროცესების მაინდუცირებელ ნაერთებს; ციკლოქსიგენაზას ინჰიბიტორებს; MMP ინჰიბიტორებს; mTOP ინჰიბიტორებს; ანტინეოპლასტიკურ ანტიმეტაბოლიტებს; პლატინის ნაერთებს; ნაერთებს, რომლებიც მიმართულია/ამცირებს პროტეინკინაზას ან ლიპიდური კინაზას აქტიურობას; ანტიანგიოგენურ ნაერთებს; ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს პროტეინფოსფატაზას ან ლიპიდურ ფოსფატაზას; განადორელისის აგონისტებს; ანტიანდროგენებს; მეთიონინამინოპეპტიდაზას ინჰიბიტორებს; ბიფოსფონატებს; ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორებს; ანტიპროლიფერაციულ ანტისეულებს, ჰეპარანაზას ინჰიბიტორებს; Ras ონკოგენური იზოფორმების ინჰიბიტორებს; ტელომერაზას ინჰიბიტორებს; პროტეასომას ინჰიბიტორებს; ჰემობლასტოზების მკურნალობისას გამოყენებულ ნაერთებს; ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს Flt-3 აქტიურობას; Hsp90 ინჰიბიტორებს, როგორიცაა 17-AAG (17-ალილამინოგელდანამიციინი, NSC330507), 17-DMAG (17-დიმეთილამინოეთილამინო-17-დემეთოქსი-გელდანამიციინი, NSC707545), IPI-504, CNF1010, CNF2024, CNF1010, Conforma Therapeutics-დან; ტემოზოლომიდს (TEMODAL); თითისტარას კინეზინპროტეინის ინჰიბიტორებს, როგორიცაა SB715992 ან SB743921 GlaxoSmithKline-დან ან პენტამიდინ/ქლორპრომაზინი CombinatoRx-დან; PI3K ინჰიბიტორებს; RAF ინჰიბიტორებს; EDG შემაკსეშირებლებს; ლეიკოზის საწინააღმდეგო ნაერთებს, რიბონუკლეოტიდრედუქტაზას ინჰიბიტორებს, S-ადენოზილმეთიონინ დეკარბოქსილაზას ინჰიბიტორებს, ანტიპროლიფერაციულ ანტისეულებს ან სხვა ქიმიოთერაპიული ნაერთები. გარდა ამისა, ალტერნატიულად ან დამატებით, მათი გამოყენება შეიძლება სიმსივნის მკურნალობის სხვა ხერხებთან კომბინაციაში, როგორიცაა ქირურგია, მაიონებელი გამოსხივება, ფოტოდინამიკური თერაპია, იმპლანტატები, მაგალითად, კორტიკოსტეროიდები, ჰორმონები ანდა მათი გამოყენება შეიძლება რადიოსენსიბილიზატორების სახით. გარდა ამისა, აღსანიშნავია ანთების საწინააღმდეგო და/ან ანტიპროლიფერაციული მკურნალობა, ანთების საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებებთან კომბინირება. კომბინირება შესაძლებელია აგრეთვე ანტიჰისტამინურ სამკურნალო საშუალებებთან, ბრონქოდილატაციურ

სამკურნალო საშუალებებთან, NSAID ან ქემოკინის რეცეპტორების ანტაგონისტებთან.

[0080] აქ გამოყენებული ტერმინი “არომატაზას ინჰიბიტორი” ეხება ნაერთს, რომელიც აინჰიბირებს ესტროგენის პროდუცირებას ანუ სუბსტრატების ანდროსტენდიონის და ტესტოსტერონის გარდაქმნას ესტრონად და ესტრადიოლად, შესაბამისად. ტერმინი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, სტეროიდებს, როგორიცაა ატამესტანი, ექსემესტანი და ფორმესტანი და არასტეროიდებს, როგორიცაა ამინოგლუტეთიმიდი, როგლეთიმიდი, პიროდოგლუტეთიმიდი, ტრილოსტანი, ტესტოლაქტონი, კეტოკონაზოლი, ვოროზოლი, ფადროზოლი, ანასტროზოლი და ლეტროზოლი. ექსემესტანი შეჰყავთ გასაყიდი ფორმით, სასაქონლო ნიშნით AROMASIN. ფორმესტანი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით LENTARON. ფადროზოლი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით AFEMA. ანასტროზოლი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით ARIMIDEX. ლეტროზოლი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით FEMARA ან FEMAR. ამინოგლუტეთიმიდი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით ORIMETEN. გამოგონების კომბინაცია, რომელიც შეიცავს ქიმიოთერაპიულ აგენტს - არომატაზას ინჰიბიტორს განსაკუთრებით ხელსაყრელია ჰორმონის რეცეპტორის მიმართ პოზიტიური სიმსივნეების, მაგალითად, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების მკურნალობისთვის.

[0081] აქ გამოყენებული ტერმინი “ანტიესტროგენი” ეხება ნაერთს, რომელიც ესტროგენული რეცეპტორის დონეზე, ესტროგენის ეფექტზე უკუქმედებას ახორციელებს. ტერმინი მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგება, ტამოქსიფენს, ფულვესტრანს, რალოქსიფენს და რალოქსიფენჰიდროქლორიდს. ტამოქსიფენი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით NOLVADEX. რალოქსიფენჰიდროქლორიდი შეჰყავთ გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით EVISTA. ფულვესტრანტის ფორმულირება შეიძლება US 4,659,516 ადწერილის მიხედვით ან მისი შეყვანა შესაძლებელია გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით FASLODEX. გამოგონების კომბინაცია, რომელიც შეიცავს ქიმიოთერაპიულ აგენტს - ანტიესტროგენს, განსაკუთრებით ხელსაყრელია

ჰორმონის რეცეპტორის მიმართ პოზიტიური სიმსივნეების, მაგალითად, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების მკურნალობისთვის.

[0082] აქ გამოყენებული ტერმინი “ანტიანდროგენი” ეხება ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც აინჰიბირებს ანდროგენული ჰორმონების ბიოლოგიურ ეფექტებს და მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ბიკალუტამიდს (CASODEX), რომლის ფორმულირება შეიძლება US 4,636,505 აღწერილის მიხედვით.

[0083] აქ გამოყენებული ტერმინი “გონადორელინის აგონისტი” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, აბარელიქსს, გოზერელინს და გოზერელინაცეტატს. გოზერელინი აღწერილია US 4,100,274 და მისი შეყვანა შეიძლება გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით ZOLADEX. აბარელიქსის შეიძლება ფორმულირებულ იქნას US 5,843,901 აღწერილის მიხედვით.

[0084] აქ გამოყენებული ტერმინი “ტოპოიზომერაზას I ინჰიბიტორი” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ტოპოტეკანს, გიმატეკანს, ირინოტეკანს, კამპტოთეცინს და მათ ანალოგებს, 9-ნიტროკამპტოთეცინს და კამპტოთეცინის მაკრომოლეკულურ კონიუგატს PNU-166148 (ნაერთი A1 - WO99/17804). ირინოტეკანი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით CAMPTOSAR. ტოპოტეკანი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სასაქონლო ნიშნით HYCAMTIN.

[0085] აქ გამოყენებული ტერმინი “ტოპოიზომერაზას II ინჰიბიტორი” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ანთრაციკლინებს, როგორიცაა დოქსოზუცინი (ლიპოსომური შემადგენლობის, მაგალითად, CAELYX ჩათვლით), დაუნორუბიცინს, ეპირუბიცინს, იდარუბიცინს და ნემორუბიცინს, ანთრაქინონებს - მიტოქსანტრონს და ლოზოქსანტრონს, აგრეთვე პოდოფილოტოქსინებს - ეტოპოზიდს და ტენიპოზიდს. ეტოპოზიდი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით ETOPOPHOS. ტენიპოზიდი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით VM 26-BRISTOL. დოქსორუბიცინი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით ADRIBLASTIN ან ADRIAMYCIN. ეპირუბიცინი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით FARMORUBICIN. იდარუბიცინი შეიძლება შეყვანილ

იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით ZAVEDOS. მილოქსატრონი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით NOVANTRON.

[0086] ტერმინი “მიკრომილაკის აქტიური ნაერთი” ეხება მიკრომილაკის მასტაბილიზებელ, მიკრომილაკის მადესტაბილიზებელ ნაერთებს და მიკრომილაკური პოლიმერიზაციის ინჰიბიტორებს, რომლებიც მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ტაქსანებს, მაგალითად, პაკლიტაქსელს და დოცეტაქსელს, გველის სუროს ალკალოიდებს, მაგალითად, ვინბლასტინს, კერძოდ ვინბლასტინსულფატს, ვინკრისტინს, კერძოდ, ვინკრისტინსულფატს, ასევე ვინორელბინს, დისკოდერმოლიდებს, კოლხიცინს და ეპოთილონებს და მის წარმოებულებს, მაგალითად, ეპოთილონს B ან D ანდა მის წარმოებულებს. პაკლიტაქსელი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით TAXOL. დოცეტაქსელი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით TAXOTERE. ვინბლასტინსულფატი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით VINBLASTIN R.P. ვინკრისტინსულფატი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით FARMISTIN. დისკოდერმოლიდის მიღება შეიძლება US 5,010,099 აღწერილის მიხედვით. აღსანიშნავია აგრეთვე ეპოთილონის წარმოებულები, რომლებიც აღწერილია WO 98/10121, US 6,194,181, WO 98/25929, WO 98/08849, WO 99/43653, WO 98/22461 და WO 00/31247. უპირატესობას ანიჭებენ ეპოთილონს A და/ან B.

[0087] აქ გამოყენებული ტერმინი “მაალკილირებელი ნაერთი” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ციკლოფოსფამიდს, იფოსფამიდს ან ნიტროზოშარდოვანას (BCNU ან გლიადელი). ციკლოფოსფამიდი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით CYCLOSTIN. იფოსფამიდი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით HOLOXAN.

[0088] ტერმინი “ანტინეოპლასტიკური ანტიმეტაბოლიტები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, 5-ფთორურაცილს ან 5-FU, კაპეციტაბინს, გემციტაბინს, DNA-ს მადემეთილირებელ ნაერთებს, როგორიცაა 5-აზაციტიდინი და დეციტაბინი, მეთოტრექსატი და ედატრექსატი, ასევე ფოლმჟავას ანტაგონისტებს, როგორიცაა პემეტრექსედი. კაპეციტაბინი

შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით XELODA. გემციტაბინი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით GEMZAR. აქ გამოყენებული ტერმინი “პლატინის ნაერთი” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, კარბოპლატინს, ცისპლატინს, ცისპლატინუმს და ოქსალიპლატინს. კარბოპლატინი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით KARBOPLAT. ოქსალიპლატინი შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, სავაჭრო ნიშნით ELOXATIN.

[0089] აქ გამოყენებული ტერმინი “ნაერთები, რომლებიც მიმართულია/ამცირებს პროტეინ- ან ლიპიდკინაზას აქტიურობას” ან “პროტეინ- ან ლიპიდფოსფატაზას აქტიურობას” ან “ანტიანგიოგენური ნაერთები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, პროტეინ ტიროზინკინაზას და/ან სერინ- და/ან თreonინკინაზას ინჰიბიტორებს ან ლიპიდკინაზას ინჰიბიტორებს, მაგალითად, a) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა თრომბოციტების ზრდის ფაქტორის რეცეპტორების (PDGFR) აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას, განსაკუთრებით ნაერთებს, რომლებიც აინჰიბირებს PDGF რეცეპტორს, მაგალითად, N-ფენილ-2-პირიმიდინ-ამინური წარმოებულები - იმატინაბი, SU101, SU6668 და GFB-111; b) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორის რეცეპტორების (FGFR) აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას; c) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა ინსულინისებრი ზრდის ფაქტორის რეცეპტორის I (IGF-IR) აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას, განსაკუთრებით ნაერთებს, რომლებიც აინჰიბირებს IGF-1 რეცეპტორული კინაზას აქტიურობას, როგორიცაა WO 02/092599 აღწერილი ნაერთები ან ანტისხეულები, რომელთა სამიზნეს წარმოადგენს IGF-I რეცეპტორის უჯრედგარე დომენი ან მისი ზრდის ფაქტორები; d) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა Trk რეცეპტორული ტიროზინკინაზას ოჯახის აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას, ან ეფრინის B4 ინჰიბიტორებს; e) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა Axl რეცეპტორული ტიროზინკინაზას ოჯახის აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას; f) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა Ret რეცეპტორული ტიროზინკინაზას აქტიურობა და

რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას; გ) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა Kit/SCFR რეცეპტორული ტიროზინკინაზას აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას ანუ C-kit რეცეპტორული ტიროზინკინაზების აქტიურობას - (PDGFR ოჯახის ნაწილი), როგორიცაა ნაერთები, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს c-Kit რეცეპტორულ ტიროზინკინაზას ოჯახს, განსაკუთრებით ნაერთები, რომლებიც აინჰიბირებს c-Kit რეცეპტორს, მაგალითად, იმატინიბი; h) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა c-Abl ოჯახის წევრების, მათი შერწყმული გენების პროდუქტების (მაგალითად, BCR-Abl კინაზას) და მუტანტების აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ამ აქტიურობას, როგორიცაა ნაერთები, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს c-Abl ოჯახის წევრებს, მათი შერწყმულის გენების პროდუქტებს, მაგალითად, N-ფენილ-2-პირიმიდინ-ამინური წარმოებული - იმატინიბი ან ნილოტინიბი (AMN107); PD180970; AG957; NSC 680410; PD173955 ParkeDavis-გან ან დასატინიბი (BMS-354825). i) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა პროტეინკინაზას C (PKC) და სერინ/თრონინკინაზების Raf ოჯახის წევრების, MEK, SRC, JAK, FAK, PDK1, PKB/Akt წევრების და Ras/MAPK ოჯახის წევრების და/ან ციკლინ-დამოკიდებული კინაზური ოჯახის (CDK) წევრების აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს მათ აქტიურობას, ძირითადად წარმოადგენს სტაუროსპორინის წარმოებულებს, რომლებიც აღწერილია US 5,093,330, მაგალითად, მიდოსტაურინი; ნაერთების სხვა მაგალითები მოიცავს UCN-01, საფინგოლს, BAY 43-9006, ბრიოსტატინს 1, პერიფოზინს; ილმოფოზინს; RO 318220 და RO 320432; GO 6976; იზისს 3521; LY333531/LY379196; იზოქინოლინის ნაერთებს, რომლებიც აღწერილია WO 00/09495; FTIs; PD184352 ან QAN697 (P13K ინჰიბიტორი) ან AT7519 (CDK ინჰიბიტორი); j) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა პროტეინტიროზინკინაზას ინჰიბიტორების აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს მათ აქტიურობას, მოიცავს იმატინიბმეზილატს (GLEEVEC) ან ტირფოსტინს. ტირფოსტინი არის დაბალმოლეკულური ($mw < 1500$) ნაერთი ან მისი ფარმაცევტულად მისაღები მარილი, უპირატესად, ნაერთი, რომელიც შერჩეულია ბენზილიდენმალონიტრილის ნაერთების კლასიდან ან S-არილბენზოლმალონიტრილის ან ბისუბსტრატული ქინოლინის ნაერთების კლასიდან, უპირატესად, მოიცავს ნებისმიერ ნაერთს, რომელიც

შერჩეულია შემდეგი შემცველობის ჯგუფიდან: ტირფოსტინი A23/RG-50810; AG 99; ტირფოსტინი AG 213; ტირფოსტინი AG 1748; ტირფოსტინი AG 490; ტირფოსტინი B44; ტირფოსტინის B44 (+) ენანტიომერი; ტირფოსტინი AG 555; AG 494; ტირფოსტინი AG 556, AG957 და ადაფოსტინი (4-[(2,5-დიჰიდროქსიფენილ)მეთილ]ამინო}-ბენზომეა ადამანტილის რთული ეთერი; NSC 680410, ადაფოსტინი); k) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა რეცეპტორული ტიროზინკინაზას ეპიდერმული ზრდის ფაქტორის ოჯახის (EGFR, ErbB2, ErbB3, ErbB4 ჰომო- ან ჰეტეროდიმერების სახით) და მათი მუტანტების აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს მათ აქტიურობას, ამასთან ეს დამიზნებული ნაერთები ამცირებს ან აინჰიბირებს ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორული ოჯახის აქტიურობას და მოიცავს ნაერთებს, პროტეინებს ან ანტისხეულებს, რომლებიც აინჰიბირებს EGF რეცეპტორული ტიროზინკინაზას ოჯახის წევრებს, როგორცაა EGF რეცეპტორი, ErbB2, ErbB3 და ErbB4 ან უკავშირდება EGF ან EGF მონათესავე ლიგანდებს. ეს ნაერთები, პროტეინები ან მონოკლონური ანტისხეულები ზოგადად და კონკრეტულად აღწერილია WO 97/02266, მაგალითად, მაგ. 39-ის ნაერთი ან EP 0 564 409, WO 99/03854, EP 0520722, EP 0 566 226, EP 0 787 722, EP 0 837 063, US 5,747,498, WO 98/10767, WO 97/30034, WO 97/49688, WO 97/38983 და ძირითადად WO 96/30347 (მაგალითად, ნაერთი, რომელიც ცნობილია, როგორც CP 358774), WO 96/33980 (მაგალითად, ნაერთი ZD 1839) და WO 95/03283 (მაგალითად, ნაერთი ZM105180); მაგალითად, ტრასტუზუმაბი (Herceptin), ცეტუქსიმაბი (Erbbitux), ირესა, ტარცევა, OSI-774, CI-1033, EKB-569, GW-2016, E1.1, E2.4, E2.5, E6.2, E6.4, E2.11, E6.3 ან E7.6.3. 7H-პიროლო-[2,3-d]პირიმიდინის წარმოებულები, რომლებიც აღწერილია WO 03/013541 და l) ნაერთებს, რომელთა სამიზნეა c-Met რეცეპტორის აქტიურობა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს მის აქტიურობას, განსაკუთრებით ნაერთებს, რომლებიც აინჰიბირებს c-Met რეცეპტორის კინაზურ აქტიურობას ან ანტისხეულებს, რომელთა სამიზნეს წარმოადგენს c-Met რეცეპტორის უჯრედგარეშე დომენი ან რომელიც უკავშირდება HGF-ს.

[0090] გარდა ამისა, ანტიანგიოგენური ნაერთები მოიცავს ნაერთებს, რომლებსაც აქტიურობის სხვა მექანიზმი აქვს. ეს მექანიზმი არ არის დაკავშირებული პროტეინ ან ლიპიდკინაზას ინჰიბირებასთან, მაგალითად, თალიდომიდი (THALOMID) და TNP-470.

[0091] ნაერთები, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს პროტეინ ან ლიპიდფოსფატაზას აქტიურობას წარმოადგენს, მაგალითად, ფოსფატაზას 1, ფოსფატაზას 2A ან CDC25 ინჰიბიტორებს, მაგალითად, ოკადაიკმუას და მის წარმოებულს.

[0092] ნაერთები, რომლებიც აინდუცირებს უჯრედული დიფერენციაციის პროცესებს წარმოადგენს, მაგალითად, რეტინმუას ან ტოკოფეროლს ან ტოკოტრიენოლს.

[0093] აქ გამოყენებული ტერმინი “ციკლოქსიგენაზას ინჰიბიტორი” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, Cox-2 ინჰიბიტორებს, 5-ალკილ ჩანაცვლებულ 2-არილამინოფენილმმარმუას და წარმოებულებს, როგორცაა ცელეკოქსიბი (CELEBREX), როფეკოქსიბი (VIOXX), ეტორიკოქსიბი, ვალდეკოქსიბი ან 5-ალკილ-2-არილამინოფენილმმარმუა, მაგალითად, 5-მეთილ-2-(2'-ქლორ-6'-ფთორანილინო)ფენილმმარმუა, ლუმირაკოქსიბი.

[0094] აქ გამოყენებული ტერმინი “ბისფოსფონატები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ეტრიდონმუას, კლოდრონმუას, ტილუდრონმუას, პამიდრონმუას, ალენდრონმუას, იბანდრონმუას, რიზედრონმუას და ზოლედრონმუას. “ეტრიდონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით DIDRONEL. “კლოდრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით BONEFOS. “ტილუდრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით SKELID. “პამიდრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით ARELIATM. “ალენდრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით FOSAMAX. “იბანდრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით BODRANAT. “რიზედრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით ACTONEL. “ზოლედრონმუა” შეიძლება შეყვანილ იქნას გაყიდვაში არსებული ფორმით, მაგალითად, სავაჭრო ნიშნით ZOMETA.

[0095] ტერმინი “mTOR ინჰიბიტორები” ეხება ნაერთებს, რომლებიც აინჰიბირებს რაპამიციინის (mTOR) სამიზნეს ძუძუმწოვრებში და რომლებსაც

აქვს ანტიპროლიფერაციული აქტიურობა, მაგალითად, სიროლიმუსი (Rapamune), ევეროლიმუსი (Certican[®]), CCI-779 და ABT578.

[0096] აქ გამოყენებული ტერმინი “ჰეპარანაზას ინჰიბიტორი” ეხება ნაერთებს, რომელთა მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს ჰეპარინსულფატის დეგრადაციას. ტერმინი მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, PI-88.

[0097] აქ გამოყენებული ტერმინი “ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორი” ეხება ლიმფოკინს ან ინტერფერონებს, მაგალითად, ინტერფერონს.

[0098] აქ გამოყენებული ტერმინი “Ras ონკოგენური იზოფორმების ინჰიბიტორი”, მაგალითად, H-Ras, K-Ras ან N-Ras, ეხება ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს Ras-ის ონკოგენურ აქტიურობას, მაგალითად, “ფარნეზილტრანსფერაზას ინჰიბიტორი”, როგორიცაა L-744832, DK8G557 ან R115777 (Zarnestra).

[0099] აქ გამოყენებული ტერმინი “ტელომერაზას ინჰიბიტორი” ეხება ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს ტელომერაზას აქტიურობას. ნაერთები, რომელთა სამიზნეა ტელომერაზა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს ტელომერაზას აქტიურობას, უპირატესად წარმოადგენს ტელომერაზას რეცეპტორის მაინჰიბირებელ ნაერთებს, როგორიცაა ტელომესტატინი.

[00100] აქ გამოყენებული ტერმინი “მეთიონინამინოპეპტიდაზას ინჰიბიტორი” ეხება ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს მეთიონინამინოპეპტიდაზას აქტიურობას. ნაერთები, რომელთა სამიზნეა მეთიონინამინოპეპტიდაზა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს მეთიონინამინოპეპტიდაზას აქტიურობას, უპირატესად წარმოადგენს ბენგამიდს ან მის წარმოებულს.

[00101] აქ გამოყენებული ტერმინი “პროტეასომას ინჰიბიტორი” ეხება ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს პროტეასომას აქტიურობას. ნაერთები, რომელთა სამიზნეა პროტეასომა და რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს პროტეასომას აქტიურობას, მოიცავს ბორტეომიდს (Velcade) და MLN 341.

[00102] აქ გამოყენებული ტერმინი “მატრიქსული მეტალოპროტეინაზას ინჰიბიტორი” ან (“MMP” ინჰიბიტორი) მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, კოლაგენის პეპტიდომიმეტიკურ და არაპეპტიდომიმეტიკურ ინჰიბიტორებს, ტეტრაციკლინის წარმოებულებს, მაგალითად, ჰიდროქსამატის პეპტიდომიმეტიკურ ინჰიბიტორს ბატიმასტატს და მის ანალოგს, ორალურად ბიომისაწვდომ მარიმასტატს (BB-2516), პრინომასტატს (AG3340), მეტასტატს (NSC 683551), BMS-279251, BAY 12-9566, TAA211, MMI270 ან AAJ996.

[00103] აქ გამოყენებული ტერმინი “ნაერთები, რომლებსაც იყენებენ ჰემობლასტოზების მკურნალობისთვის” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, FMS-მსგავს ტიროზინკინაზურ ინჰიბიტორებს, მაგალითად, ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს FMS-მსგავს ტიროზინკინაზურ რეცეპტორებს (Flt-3R); ასეთი ნაერთებია ინტერფერონი, 1-b-D-არაბინოფურანსილციტოზინი (ara-c) და ბისუფანი; მოიცავს ასევე ALK ინჰიბიტორებს, მაგალითად, ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს ანაპლასტიკური ლიმფომის კინაზას.

[00104] ნაერთები, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს FMS-მსგავსი ტიროზინკინაზური რეცეპტორების აქტიურობას, უპირატესად წარმოადგენს Flt-3R რეცეპტორკინაზების ოჯახის წევრების მაინჰიბირებელ ნაერთებს, პროტეინებს ან ანტისხეულებს, როგორცაა, PKC412, TK1258, მიდოსტაურიინი, სტაუროსპორინის წარმოებულები, SU11248 და MLN518.

[00105] აქ გამოყენებული ტერმინი “HSP90 ინჰიბიტორები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ნაერთებს, რომლებიც მიმართულია, ამცირებს ან აინჰიბირებს HSP90-ის შიგა ATP-აზურ აქტიურობას, ამასთან, დაქვემდებარებული HSP90 პროტეინების დეგრადირება, მათზე მიზნობრივი მოქმედება, შემცირება ან ინჰიბირება ხორციელდება უბიქვიტინ-პროტეოსომული სისტემით. დამიზნებული ნაერთები, რომლებიც ამცირებს ან აინჰიბირებს HSP90-ის შიგა ATP-აზურ აქტიურობას, უპირატესად წარმოადგენს HSP90-ის ATP-აზური აქტიურობის მაინჰიბირებელ ნაერთებს, პროტეინებს ან ანტისხეულებს, მაგალითად, 17-აფილაამინო, 17-დემეთოქსიგელდანამიციინი (17AAG), გელდამიციინის წარმოებულები; გელდამიციინის სხვა მონათესავე ნაერთები; რადიციკოლი და HDAC ინჰიბიტორები. HSP90 ინჰიბიტორის მაგალითია AUY922.

[00106] აქ გამოყენებული ტერმინი “ანტიპროლიფერაციული ანტისხეულები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ტრასტუზუმაბს (Herceptin™), ტრასტუზუმაბ-DM1, ერბიტუქსს, ბევაციზუმაბს (Avastin™), რიტუქსიმაბს (Rituxan®), PRO64553 (ანტი-CD40) და 2C4 ანტისხეულს. ანტისხეულებში იგულისხმება ინტაქტური მონოკლონური ანტისხეულები, პოლიკლონური ანტისხეულები, მულტისპეციფიკური ანტისხეულები, რომლებიც ფორმირებულია სულ მცირე, 2 ინტაქტური ანტისხეულისგან და ანტისხეულის ფრაგმენტებისგან, იმ შემთხვევაში თუ ისინი ავლენს სასურველ ბიოლოგიურ აქტიურობას.

[00107] მწვავე მიელოიდური ლეიკოზის (AML) მკურნალობისთვის, ლეიკოზის სტანდარტულ თერაპიასთან კომბინაციაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაერთები ფორმულით (I), უპირატესად ისეთ საშუალებებთან კომბინაციაში, რომლებსაც იყენებენ AML-ის მკურნალობისთვის. კერძოდ, ნაერთები, ფორმულით (I) შეიძლება შეყვანილ იქნას კომბინაციაში, მაგალითად, ფარნეზილტრანსფერაზას ინჰიბიტორებთან და/ან სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად, რომლებიც ხელსაყრელია AML მკურნალობისთვის, როგორიცაა დაუნორუბიციინი, ადრიამიციინი, VP-16, ტენიპოზიდი, მიტოქსანტრონი, იდარუბიციინი, კარბოპლატინუმი და PKC412.

[00108] ტერმინი “ანტილეიკოზური ნაერთები” მოიცავს, მაგალითად, Ara-C, პირიმიდინის ანალოგს, რომელიც წარმოადგენს დეზოქსიციტიდინის 2-ალფა-ჰიდროქსირიბოზას (არაბინოზა) წარმოებულს. მოიცავს აგრეთვე ჰიპოქსანთინის პურინულ ანალოგს, 6-მერკაპტოპურინს (6-MP) და ფლუდარაბინფოსფატს.

[00109] აქ გამოყენებული ტერმინი “სომატოსტატინის რეცეპტორის ანტაგონისტები” ეხება ნაერთებს, რომლებიც დამიზნებულია, ზეგავლენას ახდენს სომატოსტატინის რეცეპტორზე ან აინჰიბირებს მას, მაგალითად, ოქტრეოტიდი და SOM230 (პაზირეოტიდი).

[00110] სიმსივნური უჯრედების დაზიანების ხერხები ეხება მაიონებელი გამოსხივების გამოყენების ტაქტიკას. აქ მითითებული ტერმინი “მაიონებელი გამოსხივება” ნიშნავს მაიონებელ გამოსხივებას, რომელიც წარმოადგენს ან ელექტრომაგნიტურ სხივებს (როგორიცაა რენტგენის სხივები და გამა სხივები) ან ნაწილაკებს (როგორიცაა ალფა ან ბეტა ნაწილაკები).

მაიონებელი გამოსხივება მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, სხივურ თერაპიას და კარგად არის ცნობილი ტექნიკის დონიდან. იხილეთ Hellman, Principles of Radiation Therapy, Cancer, in *Principles and Practice of Oncology*, Devita et al., Eds., 4th Edition, Vol. 1, pp. 248-275 (1993).

[00111] აქ გამოყენებული ტერმინი “EDG შემაკავშირებლები” ეხება იმუნოსუპრესანტებს, რომლებიც ამოღულირებენ ლიმფოციტურ რეცირკულაციას, მაგალითად, FTY720.

[00112] ტერმინი “რიბონუკლეოტიდრედუქტაზას ინჰიბიტორები” ეხება პირიმიდინის ან პურინის ნუკლეოზიდურ ანალოგებს, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ფლუდარაბინს და/ან ციტოზინ არაბინოზიდს (ara-C), 5-ფთორურაცილს, კლადრიბინს, 6-მერკაპტოპურიზს (უპირატესად, ara-C-თან კომბინაციაში, ALL-ს წინააღმდეგ) და/ან პენტოსტატინს. უპირატესად, რიბონუკლეოტიდ რედუქტაზას ინჰიბიტორებს წარმოადგენს ჰიდროქსიმარდოვანა ან 2-ჰიდროქსი-1*H*-იზოინდოლ-1,3 დიონის წარმოებულები, როგორიცაა PL-1, PL-2, PL-3, PL-4, PL-5, PL-6, PL-7 ან PL-8, რომლებიც მითითებულია Nandy et al., *Acta Oncologica*, Vol. 33, No. 8, pp. 953-961 (1994).

[00113] აქ გამოყენებული ტერმინი “S-ადენოზილმეთიონინ დეკარბოქსილაზას ინჰიბიტორები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ნაერთებს, რომლებიც აღწერილია US 5,461,076.

[00114] გამოგონება მოიცავს აგრეთვე WO 98/35958 აღწერილ ნაერთებს, პროტეინებს ან VEGF-ის მონოკლონურ ანტისხეულებს, მაგალითად, 1-(4-ქლორანილინო)-4-(4-პირიდილმეთილ)ფთალაზინს ან მის ფარმაცევტულად მისაღებ მარილს, მაგალითად სუქცინატს, ან WO 00/09495, WO 00/27820, WO 00/59509, WO 98/11223, WO 00/27819 და EP 0 769 947 მითითებულ ნაერთებს; ასევე Prewett et al, *Cancer Res*, Vol. 59, pp. 5209-5218 (1999); Yuan et al., *Proc Natl Acad Sci U S A*, Vol. 93, pp. 14765-14770 (1996); Zhu et al., *Cancer Res*, Vol. 58, pp. 3209-3214 (1998) და Mordenti et al., *Toxicol Pathol*, Vol. 27, No. 1, pp. 14-21 (1999); WO 00/37502 და WO 94/10202 აღწერილ ნაერთებს; ანგიოსტატინს, რომელიც აღწერილია O'Reilly et al., *Cell*, Vol. 79, pp. 315-328 (1994); ენდოსტატინს, რომელიც აღწერილია O'Reilly et al., *Cell*, Vol. 88, pp. 277-285 (1997); ანტრანილმუავას ამიდებს; ZD4190; ZD6474; SU5416; SU6668; ბევაციზუმაბს ან ანტი-VEGF ანტისხეულებს ან ანტი-VEGF

რეცეპტორის ანტისხეულებს, მაგალითად, rhuMAb და RHUFab, VEGF-ის აპტამერს, მაგალითად, მაკუგონს; FLT-4 ინჰიბიტორებს, FLT-3 ინჰიბიტორებს, VEGFR-2 IgG1 ანტისხეულს, ანგიოზიმს (RPI 4610) და ბევაციზუმაბს (Avastin).

[00115] აქ გამოყენებული ტერმინი “ფოტორადიაციული თერაპია” ეხება ისეთ თერაპიას, სადაც კიბოს მკურნალობისა ან პრევენციისთვის იყენებენ ფოტომასენსიბილიზებელ ნაერთებს. ფოტორადიაციული თერაპიის მაგალითები მოიცავს ისეთი ნაერთებით მკურნალობას, როგორიცაა VISUDYNE და პორფიმერ ნატრიუმი.

[00116] აქ გამოყენებული ტერმინი “ანგიოსტატიკური სტეროიდები” ეხება ნაერთებს, რომლებიც აბლოკირებს ან აინჰიბირებს ანგიოგენეზს, მაგალითად, ანეკორტავი, ტრიამცილონი, ჰიდროკორტიზონი, 11- α -ეპიჰიდროკორტიზონი, კორტექსოლონი, 17- α -ჰიდროქსიპროგესტერონი, კორტიკოსტერონი, დეზოქსიკორტიკოსტერონი, ტესტოსტერონი, ესტრონი და დექსამეთაზონი.

[00117] აქ გამოყენებული ტერმინი “კორტიკოსტეროიდების შემცველი იმპლანტატები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, ნაერთებს, როგორიცაა ფლუოცინოლონი, დექსამეთაზონი.

[00118] “სხვა ქიმიოთერაპიული ნაერთები” მოიცავს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება, მცენარეულ ალკალოიდებს, ჰორმონალურ ნაერთებს და ანტაგონისტებს; ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორებს, უპირატესად ლიმფოკინებს ან ინტერფერონებს; ანტისენსურ ოლიგონუკლეოტიდებს ან ოლიგონუკლეოტიდურ წარმოებულებს; shRNA ან siRNA ან შერეულ ნაერთებს ან ნაერთებს მოქმედების სხვა ან უცნობი მექანიზმით.

[00119] აქტიური ნაერთების სტრუქტურას, რომელსაც აიდენტიფიცირებენ კოდის ნომრით, გენერული ან სავაჭრო სახელწოდებით, იღებენ სტანდარტული ცნობარის არსებული გამოცემიდან “MercK Index” (ამერიკული ფარმაცევტული კომპანიის კატალოგი) ან მონაცემთა ბაზიდან, მაგალითად საერთაშორისო პატენტების მონაცემთა ბაზიდან (მაგალითად, IMS საერთაშორისო პუბლიკაციები).

[00120] კარდიოვასკულარული დაავადების ჩვენება, როცა შეიძლება HDAC ინჰიბიტორების გამოყენება, მოიცავს შემდეგს: დიასტოლური დისფუნქცია, მიოკარდიული ინფარქტი (სისტოლური დისფუნქცია), კარდიალური რემოდელირების ინჰიბირება როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული

გულის უკმარისობის პირობებში, ადრიაშიცინით ინდუცირებული კარდიოტოქსიკურობა, როცა აუცილებელია კარდიოდაცვა იშემიური მოვლენებისგან, ასევე ჰემორაგიული შოკისა და რეანიმაციის დროს.

[00121] გამოგონების ნაერთები შეიძლება შეყვანილ იქნას ორალურად ან პარენტერულად, ცალკე ან სტანდარტულ ფარმაცევტულ მატარებელთან კომბინაციაში. ხელსაყრელი მყარი მატარებლები მოიცავს ერთ ან მეტ ნივთიერებას, რომლებიც მოქმედებს, როგორც კორიგენტები, საპოხი აგენტები, მასოლუბილიზებელი აგენტები, მასუსპენზირებელი აგენტები, შემცხვები, გლიდანტები, დამხმარე ნივთიერებები დაწნეხვისთვის, შემკვრელები, ტაბლეტის მადეზინტეგრირებელი აგენტები ან მაკაფსულირებელი ნივთიერებები. ნაერთები შეიძლება ფორმულირებულ იქნას სტანდარტული ხერხით, მაგალითად, ისეთივე ხერხით, რომელსაც იყენებენ HDAC ცნობილი ინჰიბიტორებისთვის. აქ აღწერილი აქტიური ნაერთის შემცველი ორალური შემადგენლობები შეიცავს ჩვეულებრივ გამოყენებულ ნებისმიერ ორალურ ფორმას, ტაბლეტების, კაფსულების, ბუკალური ფორმების, კვერების, ლოზენგების ჩათვლით, ასევე ორალური დანიშნულების სითხეების, სუსპენზიების და ხსნარების სახით. ფხვნილებში, წმინდად დაქუცმაცებული მყარი მატარებელი შერეულია ასევე წმინდად დაქუცმაცებულ აქტიურ ნაერთთან. ტაბლეტებში, აქტიური ნაერთი შეიძლება შერეულ იქნას აუცილებელი კომპრესიული თვისებების მქონე მატარებელთან შესაფერისი პროპორციებით და შემკვრივებულ იქნას სასურველ ფორმამდე და ზომამდე. ფხვნილები და ტაბლეტები შეიცავს 99%-მდე აქტიურ ნაერთს.

[00122] კაფსულები შეიცავს აქტიური ნაერთ(ებ)ის ნარეგებს არასავალდებულოდ ინერტულ შემცხვებთან და/ან გამაზავებლ(ებ)თან ერთად, როგორიცაა ფარმაცევტულად მისაღები სახამებლები (მაგალითად, სიმინდის, კარტოფილის, მანიჰოტის სახამებელი), შაქრები, ხელოვნური დამატკბობელი აგენტები, ფხვნილოვანი ცელულოზები (მაგალითად, კრისტალური და მიკროკრისტალური ცელულოზები), ფქვილები, ჟელატინები, გუმფისები და სხვ.

[00123] ხელსაყრელი სატაბლეტე შემადგენლობების მიღება შესაძლებელია სტანდარტული კომპრესიის, სველი გრანულირების ან მშრალი გრანულირების ხერხების გამოყენებით და ფარმაცევტულად მისაღები გამაზავებლების, შემკვრელი აგენტების, ლუბრიკანტების,

დეზინტეგრატორების, ზედაპირის მამოდიფიცირებელი აგენტების (ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჩათვლით), მასუსპენზირებელი აგენტების ან მასტაბილიზებელი აგენტების გამოყენებით, როგორიცაა მაგნიუმის სტეარატი, სტეარინმჟავა, ნატრიუმის ლაურილსულფატი, ტალკი, შაქრები, ლაქტოზა, დექსტრინი, სახამებელი, ქელატინი, ცელულოზა, მეთილცელულოზა, მიკროკრისტალური ცელულოზა, ნატრიუმის კარბოქსიმეთილცელულოზა, კალციუმის კარბოქსიმეთილცელულოზა, პოლივინილპიროლიდინი, ალგინმჟავა, გუმიარაბიკი, ქსანთანის გუმიფისი, კომპლექსური სილიკატები, კალციუმის კარბონატი, გლიცინი, საქაროზა, სორბიტი, დიკალციუმის ფოსფატი, კალციუმის ფოსფატი, ლაქტოზა, კაოლინი, მანიტი, ნატრიუმის ქლორიდი, დაბალდნობადი ცვილები და იონმიმოცვლითი ფისები. ზედაპირის მამოდიფიცირებელი უპირატესი აგენტები მოიცავს არაიონურ და ანიონურ ზედაპირის მამოდიფიცირებელ აგენტებს. ზედაპირის მამოდიფიცირებელი აგენტების ტიპური მაგალითები მოიცავს პოლიქსამერს 188, ბენზალკონიუმის ქლორიდს, კალციუმის სტეარატს, ცეტოსტეარილურ სპირტს, ციტომაკროგოლურ ემულსიურ ცვილს, სორბიტის რთულ ეთერებს, კოლიდურ სილიციუმის დიოქსიდს, ფოსფატებს, ნატრიუმის დოდეცილსულფატს, მაგნიუმის ალუმოსილიკატს და ტრიეთანოლამინს. აქტიური ნაერთ(ებ)ის აბსორბციის შეცვლის მიზნით, აქ გამოყენებული ორალური შემადგენლობები შეიძლება იყოს სტანდარტული შეკავებული ან გახანგრძლივებული გამოთავისუფლების შემადგენლობები. ორალური შემადგენლობები შეიძლება შეიცავდეს შესაყვან აქტიურ ნაერთს წყალში ან ხილის წვენში, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მასოლუბილიზებელ ან მაემულსირებელ აგენტებთან ერთად.

[00124] თხევადი მატარებლებს იყენებენ ხსნარების, სუსპენზიების, ემულსიების, სიროფების და ელიქსირების მისაღებად. აქ აღწერილ ნაერთს ხსნიან ან ასუსპენზირებენ ფარმაცევტულად მისაღებ თხევად მატარებელში, როგორიცაა წყალი, ორგანული გამხსნელი, მათი ნარევი ან ფარმაცევტულად მისაღები ზეთები ან ცხიმები. თხევადი მატარებელი შეიძლება შეიცავდეს სხვა შესაფერის ფარმაცევტულ დანამატებს, როგორიცაა მასოლუბილიზებელი, მაემულსირებელი აგენტები, ბუფერები, კონსერვანტები, დამატკობლები, კორიგენტები, მასუსპენზირებელ აგენტებს, შემასქელებელ აგენტებს, საღებავებს, სიბლანტის მარეგულირებლებს, მასტაბილიზებელ

აგენტებს და ოსმორეგულატორებს. ორალური და პარენტერული დანიშნულების თხევადი მატარებლების მაგალითები მოიცავს წყალს (რომელიც შეიცავს დანამატებს, ზემოაღწერილის მიხედვით, მაგალითად, ცელულოზას წარმოებულებს, როგორიცაა ნატრიუმის კარბოქსიმეთილცელულოზას ხსნარი), სპირტებს (ერთატომიანი სპირტების და მრავალატომიანი სპირტების, მაგალითად, გლიკოლების ჩათვლით) და მათ წარმოებულებს, ასევე ზეთებს (მაგალითად, ფრაქციონირებულ ქოქოსის ზეთს და არაქისის ზეთს). პარენტერული დანიშნულებისთვის, მატარებელი შეიძლება იყოს ზეთოვანი რთული ეთერი, როგორიცაა ეთილთეოკატი და იზოპროპილ მირისტატი. სტერილურ თხევად მატარებლებს იყენებენ პარენტერული დანიშნულების სტერილურ თხევადი ფორმის კომპოზიციებში. წნევის ქვეშ მყოფი კომპოზიციებისთვის თხევადი მატარებელი შეიძლება იყოს ჰალოგენირებული ნახშირწყალბადი ან სხვა ფარმაცევტულად მისაღები პროპელენტი.

[00125] თხევად ფარმაცევტულ კომპოზიციებს, სტერილური ხსნარების ან სუსპენზიების სახით, იყენებენ ინტრამუსკულარული, ინტრაპერიტონეალური ან კანქვეშა ინიექციებისთვის. სტერილური ხსნარების შეყვანა შეიძლება აგრეთვე ვენაში. ორალური დანიშნულების კომპოზიციები შეიძლება იყოს ან თხევადი ან მყარი ფორმით.

[00126] ფარმაცევტული კომპოზიციები შეიძლება იყოს უნიფიცირებული სამკურნალწამლო ფორმით, როგორიცაა ტაბლეტები, კაფსულები, ფხვნილები, ხსნარები, სუსპენზიები, ემულსიები, გრანულები ან სუპოზიტორები. ასეთი ფორმების ფარმაცევტული კომპოზიცია კვლავ შეიძლება დაიყოს უნიფიცირებულ დოზებად, რომლებიც შეიცავს აქტიური ნაერთის შესაბამის რაოდენობას. უნიფიცირებული სამკურნალწამლო ფორმები შეიძლება იყოს დაფასოებული კომპოზიციების სახით, მაგალითად, შეფუთული ფხვნილები, ფლაკონები, ამპულები, სითხით წინასწარ ავსებული შპრიცები ან პაკეტები. ალტერნატიულად, უნიფიცირებული სამკურნალწამლო ფორმა შეიძლება იყოს კაფსულა ან თვით ტაბლეტი ან შეიძლება იყოს ნებისმიერი ასეთი კომპოზიციის შესაბამისი რაოდენობა დაფასოებული ფორმით. ასეთი უნიფიცირებული სამკურნალწამლო ფორმა შეიძლება შეიცავდეს აქტიური ნაერთის დაახლოებით 1 მგ/კგ - 500 მგ/კგ და წარმოდგენილი იყოს ერთჯერადი დოზით ან ორი ან მეტი დოზით. ასეთი დოზების შეყვანა

შეიძლება ნებისმიერი ხერხით, რომელიც უზრუნველყოფს აქტიური ნაერთ(ებ)ის მიმართვას რეციპიენტის სისხლის მიმოქცევის სისტემაში, მაგალითად, ორალურად, იმპლანტანტების სახით, პარენტერულად (ინტრავენური, ინტრაპერიტონეალური და კანქვეშა ინიექციების ჩათვლით), რექტალურად, ვაგინალურად და ტრანსდერმულად. ასეთი შეყვანები შეიძლება განხორციელდეს იქნას მოცემული გამოგონების ნაერთების, ასევე მათი ფარმაცევტულად მისაღები მარილების, ჰიდრატების და რთული ეთერების გამოყენებით ღოსიონებში, კრემებში, ქაფებში, სალბუნებში, სუსპენზიებში, ხსნარებში და სუპოზიტორებში (რექტალური და ვაგინალური).

[00127] იმ შემთხვევაში, როცა შეყვანა ხორციელდება გარკვეული პათოლოგიური მდგომარეობის ან დარღვევის მკურნალობის ან ინჰიბირების მიზნით, ცხადია, რომ ეფექტური დოზირება შეიცვლება გამოყენებულ ნაერთზე, შეყვანის გზაზე და/ან მკურნალობას დაქვემდებარებული მდგომარეობის სიმძიმეზე დამოკიდებულებით, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, მკურნალობას დაქვემდებარებულ ინდივიდთან დაკავშირებულ მთელ რიგ ფიზიკურ ფაქტორს. მოცემული გამოგონების ნაერთი შეიძლება გამოყენებულ იქნას უკვე დაავადებულ პაციენტზე, ისეთი რაოდენობით, რომელიც საკმარისია განკურნებისთვის ან სულ მცირე, დაავადების სიმპტომების ინტენსიურობის და გართულებების ნაწილობრივი შემცირებისთვის. პრევენციული გამოყენებისას, მოცემული გამოგონების ნაერთი შეჰყავთ პაციენტში, რომელსაც შეიძლება განუვითარდეს დაავადება, ისეთი რაოდენობით, რომელიც საკმარისია დაავადების პრევენციისთვის ან სულ მცირე, აფერხებს დაავადების სიმპტომების და მისი გართულებების ჩამოყალიბებას. ჩვეულებრივ, თითოეული ინდივიდის მკურნალობისას, მკურნალი ექიმი სუბიექტურად განსაზღვრავს გამოსაყენებელ დოზას. გასათვალისწინებელი ცვლადი მაჩვენებლები მოიცავს სპეციფიკურ პირობებს და მდგომარეობას, ისევე როგორც პაციენტის ზომას, ასაკს და მგრძნობელობას.

[00128] ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როცა ზემოქმედება ხორციელდება ფილტვზე, ნაერთის შეყვანა სასურველია პირდაპირ პაციენტის სასუნთქი გზებიდან, ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, როგორიცაა განსაზღვრული დოზის ინჰალატორები, ჩასუნთქვით აქტივირებული ინჰალატორები, მშრალი ფხვნილის მრავალჯერადი გამოყენების

ინჰალატორები, ტუმბოები, შეკუმშვით აქტივირებული გამფრქვევი დისპენსერები, აეროზოლური დისპენსერები და აეროზოლური ნებულაიზერები. ინტრანაზალური და ინტრაბრონქიალური დანიშნულების მოცემული გამოგონების ნაერთების ფორმულირება შეიძლება თხევად კომპოზიციად, მყარ კომპოზიციად ან აეროზოლურ კომპოზიციად. თხევადი კომპოზიცია შეიძლება შეიცავდეს, მაგალითად, მოცემული გამოგონების ერთ ან მეტ გახსნილ, ნაწილობრივ გახსნილ ან სუსპენზირებულ ნაერთს, ერთ ან მეტ ფარმაცევტულად მისაღებ გამხსნელში და მათი შეყვანა შესაძლებელია, მაგალითად ტუმბოთი ან შეკუმშვით აქტივირებული გამფრქვევი დისპენსერებით. გამხსნელებად იყენებენ, მაგალითად, იზოტონურ ფიზიოლოგიურ ხსნარს ან ბაქტერიოსტატიკურ წყალს. მყარი კომპოზიციები შეიძლება იყოს, მაგალითად, ფხვნილოვანი პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ერთი ან მეტი გამოგონების ნაერთის ნარევს ლაქტოზასთან ან სხვა ინტრაბრონქიალური გამოყენებისთვის მისაღებ ინერტულ ფხვნილებთან. ასეთი ნარევის შეყვანა შესაძლებელია აეროზოლური დისპენსერით ან მოწყობილობით, რომელიც არღვევს ან ხვრეტს მყარი კომპოზიციის კაფსულის გარსს და ათავისუფლებს საინჰალაციო მყარ ნივთიერებას. აეროზოლური კომპოზიცია შეიძლება შეიცავდეს მოცემული გამოგონების ერთ ან მეტ ნაერთს, პროპელენტებს, ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს და თანაგამხსნელებს და შეიძლება შეყვანილ იქნას, მაგალითად, განსაზღვრული დოზის დისპენსერით. პროპელენტებად შეიძლება გამოყენებულ იქნას ქლოროფთორნაჰშირბადი (CFC), ჰიდროფთორალკანი (HFA) ან სხვა ფიზიოლოგიურად და ეკოლოგიურად მისაღები პროპელენტი.

[00129] აქ აღწერილი ნაერთების შეყვანა შესაძლებელია პარენტერულად ან ინტრაპერიტონეალურად. ამ აქტიური კომპონენტების ან მათი ფარმაცოლოგიურად მისაღები მარილების, ჰიდრატების ან რთული ეთერების ხსნარების ან სუსპენზიების მიღება შეიძლება წყალში, შესაბამის ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებასთან, მაგალითად, ჰიდროქსიდ-პროპილცელულოზასთან შერევით. დისპერსიების მიღება შეიძლება გლიცერინში, თხევად პოლიეთილენგლიკოლში და მათი შერევით ზეთებში. ჩვეულებრივ პირობებში შენახვისა და გამოყენებისთვის, ეს პრეპარატები, მიკროორგანიზმების ზრდის ინჰიბირებისთვის შეიცავს კონსერვანტს.

[00130] საინიექციო დანიშნულების ფარმაცევტული ფორმები შეიცავს სტერილურ წყალხსნარებს ან დისპერსიებს და სტერილურ ფხვნილებს, სტერილური საინიექციო ხსნარებისა და დისპერსიების ექსტემპორალური მიღებისთვის. უპირატეს განხორციელებებში, ასეთი ფორმები სტერილურია და მათი სიბლანტიდან გამომდინარე, თავისუფლად მოძრაობს შპრიცში. აღნიშნული ფორმა უპირატესად სტაბილურია წარმოებისა და შენახვის პირობებში და დაცულია მიკროორგანიზმების - ბაქტერიების და სოკოების დამაბინძურებელი მოქმედებისაგან. მატარებელი შეიძლება იყოს გამხსნელი ან დისპერსიული არე, რომლებიც შეიცავს, მაგალითად, წყალს, ეთანოლს, პოლიოლს (მაგალითად, გლიცერინს, პროპილენგლიკოლს და თხევად პოლიეთილენგლიკოლს), მათ შესაბამის ნარევეებს და მცენარეულ ზეთებს.

[00131] მოცემული გამოგონების ნაერთების შეყვანა შეიძლება ტრანსდერმულად ანუ სხეულის ზედაპირის და სხეულის შიგა გარსების გავლით, ეპითელური ქსოვილისა და ლორწოვანი გარსების ჩათვლით. მოცემული გამოგონების ნაერთების და მათი ფარმაცევტულად მისაღები მარილების, ჰიდრატების ან რთული ეთერების შეყვანა აღნიშნული გზით შეიძლება ღოსიონების, კრემების, ქაფების, სალბუნების, სუსპენზიების ხსნარების და სუპოზიტორების (რექტალური და ვაგინალური) სახით. ტოპიკური შემადგენლობები, რომლებიც შედის ორგანიზმში ეპიდერმისის გავლით ხელსაყრელია პათოლოგიური მდგომარეობის ან დარღვევის ლოკალიზებული მკურნალობისთვის.

[00132] ტრანსდერმული შეყვანა შესაძლებელია ტრანსდერმული სალბუნების გამოყენებით, რომლებიც შეიცავს აქტიურ ნაერთს და აქტიური ნაერთის მიმართ ინერტულ მატარებელს, რომელიც არატოქსიკურია კანისთვის და უზრუნველყოფს აქტიური კომპონენტის სისტემურ აბსორბციას კანიდან სისხლის მიმოქცევის სისტემაში. მატარებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, როგორიცაა კრემები, მაღამოები, პასტები, გელები და ოკლუზიური მოწყობილობები. კრემები და მაღამოები წარმოადგენს ზეთი წყალში ან წყალი ზეთში ტიპის ბლანტ სითხეს ან ნახევრადმყარ ემულსიებს. ხელსაყრელია აგრეთვე პასტების გამოყენება, რომლებიც შეიცავს ვაზელინში ან ჰიდროფილურ ვაზელინში დისპერსირებულ აქტიური ნაერთის აბსორბციული თვისებების ფხვნილებს. აქტიური ნაერთის სისხლში გამოთავისუფლებისთვის გამოიყენება ასევე ოკლუზიური მოწყობილობები,

როგორიცაა ნახევრადგანვლადი მემბრანით დაფარული რეზერვუარი, რომელიც შეიცავს აქტიურ ნაერთს მატარებელთან ერთად ან მის გარეშე ან აქტიური ნაერთის შემცველ მატრიცას. განიხილება აგრეთვე ლიტერატურაში ცნობილი სხვა ოკლუზიური მოწყობილობები.

[00133] აქ აღწერილი ნაერთები შეიძლება შეყვანილ იქნას რექტალურად ან ვაგინალურად, სტანდარტული სუპოზიტორის ფორმით. სუპოზიტორის შემადგენლობები მიღებულია ტრადიციული მასალისაგან, როგორიცაა კაკაო ზეთი და ლღობის ტემპერატურის შეცვლის მიზნით, ცვილებთან ერთად ან მათ გარეშე, ასევე გლიცერინისგან. იყენებენ აგრეთვე სუპოზიტორებს წყალში ხსნადი სხვადასხვა მოლეკულური მასის პოლიეთილენგლიკოლების საფუძველზე.

[00134] *in vitro* ან *in vivo* მასპინძელ უჯრედებში მოცემული გამოგონებების აქტიური ნივთიერებების შესაყვანად იყენებენ ლიპიდურ შემადგენლობებს ან ნანოკაფსულებს. ლიპიდურ შემადგენლობებს და ნანოკაფსულებს იღებენ ტექნიკის დონიდან ცნობილი ხერხებით.

[0035] მოცემული გამოგონების ნაერთების ეფექტურობის გასაზრდელად, სასურველია აქ აღწერილი ნაერთების კომბინირება სხვა აგენტებთან, რომლებიც ეფექტურია სამიზნე დაავადების მკურნალობისთვის. პროლიფერაციული დაავადებების, კერძოდ, ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობისთვის ეფექტური სხვა აქტიური ნაერთები (მაგალითად, სხვა აქტიური ინგრედიენტები ან აგენტები) შეიძლება შეყვანილ იქნას მოცემული გამოგონების აქტიურ ნაერთებთან ერთად. სხვა აგენტების შეყვანა აქ აღწერილ ნაერთებთან ერთად შეიძლება ერთდროულად ან სხვადასხვა დროს.

[00136] მოცემული გამოგონების ნაერთების მიღება შეიძლება ქვემოთ მოყვანილ სქემაზე ნაჩვენები პროცედურების მიხედვით, კომერციულად ხელმისაწვდომი საწყისი ნივთიერებებიდან, ლიტერატურაში ცნობილი ნაერთებიდან ან ადვილად მისაღები შუალედური ნაერთებიდან, რისთვისაც იყენებენ სტანდარტულ სინთეზურ ხერხებს და პროცედურებს, რომლებიც კარგად არის ცნობილი სპეციალისტისთვის. ორგანული მოლეკულების მიღებას და ფუნქციური ჯგუფების ტრანსფორმაციასა და მათზე ზემოქმედებას ახორციელებენ სტანდარტული სინთეზური ხერხებით და პროცედურებით, რომელთა მოძიება შეიძლება შესაბამის სამეცნიერო

ლიტერატურაში ან შესაბამისი დარგის სახელმძღვანელოებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ როცა მოცემულია პროცესის ტიპური ან უპირატესი პირობები (ანუ სარეაქციო ტემპერატურები, დრო, რეაგენტების მოლარული თანაფარდობები, გამხსნელები, წნევები და სხვ.), შესაძლებელია პროცესის სხვა პირობების გამოყენებაც, თუ განსაკუთრებით არ არის მითითებული. რეაქციის ოპტიმალური პირობები შეიძლება შეიცვალოს გარკვეული რეაგენტების ან გამხსნელების გამოყენების მიხედვით, მაგრამ ასეთი პირობები შეიძლება განსაზღვრულ იქნას თვით სპეციალისტის მიერ ჩვეულებრივი ოპტიმიზაციის პროცედურებით. ორგანული სინთეზის სპეციალისტისთვის ნათელია, რომ სინთეზური საფეხურების წარმოდგენილი ხასიათი და თანამიმდევრობა შეიძლება შეცვლილ იქნას აქ აღწერილი ნაერთების მიღების ოპტიმიზების მიზნით.

[00137] აქ აღწერილი პროცესების მონიტორინგს ახორციელებენ ტექნიკის დონიდან ცნობილი ნებისმიერი ხელსაყრელი ხერხით. მაგალითად, პროდუქტი ფორმირების მონიტორინგი შესაძლებელია სპექტროსკოპიული მოწყობილობებით, როგორიცაა ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული სპექტროსკოპია (მაგალითად, ^1H ან ^{13}C), ინფრაწითელი სპექტროსკოპია, სპექტროფოტომეტრია (მაგალითად, UV (ულტრაიისფერი)-ხილული), მას-სპექტრომეტრია ან ქრომატოგრაფია, როგორიცაა მაღალეფექტური თხევადი ქრომატოგრაფია (HPLC), გაზური ქრომატოგრაფია (GC) ან თხელფენოვანი ქრომატოგრაფია.


[00138] ნაერთების მიღების პროცესი მოიცავს სხვადასხვა ქიმიური ჯგუფების დაცვას და დეპროტექტირებას. სპეციალისტისთვის არ იქნება რთული დაცვისა და დეპროტექტირების საჭიროების განსაზღვრა, ასევე შესაბამისი დამცავი ჯგუფების შერჩევა. დამცავი ჯგუფების ქიმიის მოძიება შესაძლებელია, მაგალითად, Greene, et al., *Protective Groups in Organic Synthesis*, 4th Ed., Wiley & Sons, 2006, რომლის აღწერილობა მთლიანად ჩართულია აქ ლიტერატურული წყაროს სახით.

[00139] აქ აღწერილი რეაქციების ჩატარება შეიძლება შესაბამის გამხსნელებში, რომლებსაც ორგანული სინთეზის სპეციალისტი ადვილად შეარჩევს. ხელსაყრელი გამხსნელები, რეაქციის მიმდინარეობის ტემპერატურებზე ანუ გამხსნელის გაყინვის და გამხსნელის დუღილის ტემპერატურულ ფარგლებში, არსებითად ინერტულია მოქმედი ნივთიერების,

შუალედური ნაერთების და/ან პროდუქტების მიმართ. მოცემული რეაქცია შეიძლება ჩატარდეს ერთ გამსხნელში ან ერთზე მეტი გამსხნელის ნარევში. ცალკეული სარეაქციო საფეხურისთვის შესაბამის გამსხნელებს არჩევენ, კონკრეტულ სარეაქციო საფეხურზე დამოკიდებულებით.


**მაგალითი 1: (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის
რთული ეთერის ჰიდროქლორიდის მიღება**

საფეხური a: (S)-2-(4-ბრომ-ფენილ)-პიროლიდინ-1-კარბონმჟავა მესამეუტილის
რთული ეთერის მიღება




[00140] (S)-2-(4-ბრომ-ფენილ)-პიროლიდინის (66.5 გ, 168 მმოლი) ღვინომჟავა მარილის სახით) და N-მეთილ მორფოლინის (46.2 მლ, 420 მმოლი) დიქლორმეტანში (400 მლ) და N,N-დიმეთილფორმამიდის (40 მლ) სუსპენზიას მორევის პირობებში, ამატებენ დი-მესამეუტილდიკარბონატს (40.5 გ, 185 მმოლი) დიქლორმეტანში (100 მლ). სარეაქციო ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 4 საათის განმავლობაში. ამატებენ ეთილაცეტატს (1.5 ლ) და მიღებულ ხსნარს რეცხავენ ორჯერ წყლით (200 მლ), ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარით (50 მლ), ოთხჯერ 10% ლიმონმჟავით წყლიანი ფენის შემჟავებამდე, ორჯერ ნატრიუმის ბიკარბონატით და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარით. ორგანულ ხსნარს აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ *ვაკუუმში* და იღებენ 49.6 გ (91%) მიზნობრივ ნაერთს, მოთეთრო მყარი ნივთიერების სახით.

საფეხური b: (S)-2-[4-((E)-2-მეთოქსიკარბონილ-ვინილ)-ფენილ]-პიროლიდინ-1-
კარბონმჟავა მესამეუტილის რთული ეთერის მიღება



[00141] მაღალი წნევის პერმეტულ ჭურჭელში (S)-2-(4-ბრომ-ფენილ)-პიროლიდინ-1-კარბონმჟავა მესაზბუტილის რთულ ეთერის (44.0 გ, 128 მმოლი) დეგაზირებულ ხსნარს 1,4-დიოქსანში (500 მლ) თანამიმდევრობით ამატებენ N-მეთილდიციკლოპექსილამინს (32.9 მლ, 154 მმოლი), (t-Bu)₃HBF₄ (1.19 გ, 4.10 მმოლი), მეთილ აკრილატს (34.8 მლ, 385 მმოლი) და Pd₂(dba)₃ (1.19 გ, 1.29 მმოლი). მაღალი წნევის პერმეტულ ჭურჭელში, სარეაქციო ნარევის აცხელებენ 150°C-მდე, შემდეგ აცივებენ ყინულის აბაზანაში და 16 საათით ათავსებენ მაცივარში. სარეაქციო ნარევის ფილტრავენ ცელიტის ბალიშში, ფილტრაციულ ნალექს რეცხავენ 250 მლ ეთილაცეტატით და კომბინირებულ ორგანულ შრეებს აკონცენტრირებენ ვაკუუმში ყვითელ ზეთამდე. ზეთი გადააქვთ 20% ეთილაცეტატი ჰეპტანში, ადისპერსირებენ ულტრაბგერით, ფილტრავენ და ფილტრატს ისევ აკონცენტრირებენ ვაკუუმში. ნაშთს ხსნიან ეთილაცეტატში და ორგანულ ხსნარს რეცხავენ თანამიმდევრობით 10% ლიმონმჟავით, ნატრიუმის ბიკარბონატის და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი ხსნარებით, აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ ვაკუუმში. ნაშთს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (ეთილაცეტატი/ჰეპტანი) ან ახდენენ რეკრისტალიზაციას 20% ეთილაცეტატიდან ჰეპტანში. მთლიანად იღებენ 42.1 გ (99% გამოსავალი).

საფეხური c: (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ჰიდროქლორიდის მიღება



[00142] (S)-2-[4-((E)-2-მეთოქსიკარბონილ-ვინილ)-ფენილ]-პიროლიდინ-1-კარბონმჟავა *მესამბუტილის* რთული ეთერის ხსნარს (40.2 გ, 115 მმოლი), მორევის პირობებში, ამატებენ 120 მლ 4 N მარილმჟავას დიოქსანში და სარეაქციო ნარევს ურევენ 16 საათის განმავლობაში. სუსპენზიას ამატებენ დიეთილის რთულ ეთერს (500 მლ) და მიღებულ მყარ ნივთიერებას ფილტრავენ, რეცხავენ ორჯერ დიეთილეთერით და იღებენ 29.0 გ (94%) მიზნობრივ ნაერთს, თეთრი მყარი ნივთიერების სახით.

მაგალითი 2: რთული ეთერების ჰიდროქსამჟავებად გარდაქმნის ტიპური პროცედურა


[00143] (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ხსნარს (4 მმოლი) მეთანოლში (5 მლ), 0°C-ზე, მორევის პირობებში, ამატებენ ნატრიუმის მეთოქსიდს (5 ეკვივალენტი, 20 მმოლი 25% ხსნარი მეთანოლში) და 10 ეკვივალენტ ჰიდროქსილამინს (50% წყალხსნარი). რეაქციის მონიტორინგს ახორციელებენ LCMS-ით და დასრულების შემდეგ, 1 N მარილმჟავით არეგულირებენ pH 7-8-მდე, რის შემდეგაც წარმოიქმნება ნალექი. ნალექს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით, აშრობენ *ვაკუუმში* და იღებენ სასურველ ჰიდროქსამჟავას.

მაგალითი 3: (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ალკილირების ტიპური პროცედურა ალდგენითი ამინირების გზით

[00144] (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ხსნარს (892მგ, 3.33 მმოლი) ტეტრაჰიდროფურანში ამატებენ ტრიეთილამინს (0.93 მლ, 6.66 მმოლი), შესაბამის ალდეჰიდს (4.99 მმოლი) და ნატრიუმის ტრიაცეტოქსიბორჰიდრიდს (1.64 გ, 7.35 მმოლი). მიღებულ ნარევს ურევენ დაახლოებით 3-24 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს აზავებენ ეთილაცეტატით, რეცხავენ თანამიმდევრობით ნატრიუმის ბიკარბონატის ნაჯერი წყალხსნარით და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარით, აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ *ვაკუუმში* და იღებენ ნედლ პროდუქტს, რომელიც ქრომატოგრაფიით გასუფთავების შემდეგ


იძლევა ალკილირებულ (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერს.

მაგალითი 4: (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ალკილბრომიდებით ან ალკილმეზიტატებით ალკილირების ტიპური პროცედურა



[00145] (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ჰიდროქლორიდის (0.3 გ, 1.1 მმოლი) და კალიუმის კარბონატის (0.4 გ, 2.9 მმოლი) აცეტონიტრილში (20 მლ) სუსპენზიას ამატებენ 4- მეთილფენეთილ ბრომიდს (0.2 მლ, 1.3 მმოლი). ნარევს აცხელებენ უკუმაცივრით, 16 საათის განმავლობაში, აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ *ვაკუუმში*. ნაშთს ხსნიან ეთილაცეტატში, რეცხავენ წყლით და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარით, აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ *ვაკუუმში* და იღებენ ნედლ პროდუქტს, რომელიც ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე გასუფთავების (ეთილაცეტატი/ჰეპტანები) შემდეგ, იძლევა მიზნობრივ ნაერთს (0.32 გ, 82%), ბაცი ყვითელი ზეთის სახით.


მაგალითი 5: (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ეპოქსიდებით ალკილირების ტიპური პროცედურა



[00146] (E)-3-((S)-4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ჰიდროქლორიდის ხსნარს (0.2 გ, 0.75 მმოლი) და ტრიეთილამინს (0.15 მლ, 1.1 მმოლი) იზოპროპანოლში (5 მლ) ამატებენ სტიროლის ოქსიდს (0.12 მლ, 1.05 მმოლი) და სარეაქციო ნარევს ურევვენ 90°C-ზე, 16 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს აკონცენტრირებენ დაბალ

წნევაზე, ნაშთს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (0 - 25% ეთილაცეტატი პეტროლეუმეთერში) და იღებენ მიზნობრივ ნაერთს, ყავისფერი ზეთის სახით (0.19 გ, 0.54 მმოლი).

მაგალითი 6: არილ ალდეჰიდების ჰომოლოგიზაციის ტიპური პროცედურა



საფეხური a: 4-(2-მეთოქსი-ვინილ)-3,5-დიმეთილ-1-ფენილ-1H-პირაზოლის მიღება


[00147] მეთოქსიმეთილტრიფენილფოსფონიუმ ქლორიდის (26.2 გ, 74.9 მმოლი) ეთილეთერში სუსპენზიას 300 მლ ტეტრაჰიდროფურანში ამატებენ n-ბუტილლითიუმს (31 მლ, 2.5 M ჰექსანში). ნარევის ურევინ 0°C-ზე, 15 წუთი და არეგირებენ 3, 5-დიმეთილ-1-ფენილ-1H-პირაზოლ-4-კარბალდეჰიდთან (7.5 გ, 37.5 მმოლი, რომელიც სუსპენზირებულია 150 მლ ტეტრაჰიდროფურანში). ნარევის ნელ-ნელა აცხელებენ ოთახის ტემპერატურამდე, 2 საათის განმავლობაში და აცივებენ ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარის ფრთხილი დამატებით. მიღებულ თეთრ ნალექს აცივებენ ფილტრაციით და ფილტრატს რამდენჯერმე წვლილავენ ეთილაცეტატით. კომბინირებულ ორგანულ შრეებს აშრობენ მაგნიუმის სულფატზე და აკონცენტრირებენ ვაკუუმში ზეთამდე, რომელსაც ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (0 - 20% ეთილაცეტატი ჰექსანში) და იღებენ მიზნობრივ ნაერთს, ყვითელი ზეთის სახით (7.09 გ, 31.1 მმოლი, გამოსავალი 83%), როგორც E:Z იზომერების ნარევის.

საფეხური b: (3,5-დიმეთილ-1-ფენილ-1H-პირაზოლ-4-ილ)-აცეტალდეჰიდის მიღება

[00148] მორევის პირობებში, 4-(2-მეთოქსი-ვინილ)-3,5-დიმეთილ-1-ფენილ-1H-პირაზოლის ხსნარს (7.09 გ, 31.1 მმოლი) 100 მლ იზოპროპანოლი-წყალში (1 : 1 მოც%) ამატებენ p-ტოლუოლსულფონმჟავას მონოჰიდრატს (1.5 გ, 7.76 მმოლი). სარეაქციო ნარევის გაცხელების შემდეგ 60°C-ზე, 16 საათის


განმავლობაში, ამატებენ 1.9 მლ კონცენტრირებულ მარილმუავას და სარეაქციო ნარევს აცხელებენ 60°C -ზე, 20 საათის განმავლობაში. ორგანულ გამსხნელს აცილებენ *ვაკუუმში*. დარჩენილ წყლიან სუსპენზიას ანეიტრალბენ ნატრიუმის ბიკარბონატის წყალხსნარით და რამდენჯერმე წვლილავენ დიქლორმეთან-ეთილაცეტატის ნარევით. კომბინირებულ ორგანულ ექსტრაქტებს აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, აკონცენტრირებენ *ვაკუუმში* ნაშთამდე, რომელსაც ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (0 - 50% ეთილაცეტატი ჰექსანში) და იღებენ მიზნობრივ ნაერთს, ყვითელი მყარი ნივთიერების სახით (4.02 გ, 18.8 მმოლი, გამოსავალი 60%).

**მაგალითი 7: 1-(2-ბრომეთილ)-1H-პირაზოლების 1-H-პირაზოლებიდან
წარმოქმნის ტიპური პროცედურა**




[00149] მორევის პირობებში, პირაზოლის (2 გ, 29.4 მმოლი), 1,2-დიბრომეთანის (25.3 მლ, 294 მმოლი), ტეტრაბუტილამონიუმის ბრომიდის (159 მგ, 2.94 მმოლი) და 40% ნატრიუმის ჰიდროქსიდის (9 მლ, 88 მმოლი) სუსპენზიას აცხელებენ 30°C -ზე, 16 საათის განმავლობაში. მიღებულ ნივთიერებას ორჯერ რეცხავენ წყლით, აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ *ვაკუუმში* ზეთის მიღებამდე, რომელსაც ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (ეთილაცეტატი/ჰექსანები) და იღებენ სასურველ ალკილბრომიდს.

**მაგალითი 8: კეტონების ჰიდროქსი ანალოგებამდე აღდგენის ტიპური
პროცედურა**



[00150] (E)-3-(4-{1-[2-(4-მეთოქსი-ფენილ)-2-ოქსო-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ხსნარს (0.4 გ, 1.05 მმოლი) (რომელიც მიღებულია 2-ბრომ-4'-მეთოქსიაცეტოფენონისგან, მაგალითში 4 აღწერილი პროცედურების ანალოგიურად) მეთანოლში (20 მლ), 0°C-ზე ამატებენ ნატრიუმის ბორჰიდრიდს (0.04 გ, 1.06 მმოლი). მიღებულ ნარევს ათბობენ ოთახის ტემპერატურამდე, ერთი საათის განმავლობაში. ნარევს აკონცენტრირებენ და ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (0 - 20% ეთილაცეტატი პეტროლეუმეთერში) და იღებენ პროდუქტს, ყავისფერი ზეთის სახით (0.35 გ, 0.92 მმოლი, გამოსავალი 88%), როგორც დიასტერეომერების ნარევს.

მაგალითი 9: არილური და ჰეტეროარილური აცეტალდეჰიდების წარმოქმნის ტიპური პროცედურა




საფეხური a: (2-ეთილ-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-მეთანოლის მიღება

[00151] 2-ეთილ-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-კარბონმჟავა ეთილის რთული ეთერის ხსნარს (15 გ, 68.7 მმოლი) ტეტრაჰიდროფურანში (300 მლ) აცივებენ ეინულის აბაზანაში და ამატებენ ლითიუმის ალუმოჰიდრიდს (2.6 გ, 68.7 მმოლი). სარეაქციო ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 16 საათის განმავლობაში. ამატებენ წყალს ბარბოტირების შეწყვეტამდე. შემდეგ, ამატებენ სილიკაგელს და გამსხნელს აორთქლებენ ვაკუუმში. მიღებულ ნაშთს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (20 - 100% ეთილაცეტატი/ჰექსანი) და იღებენ მიზნობრივ ნაერთს, ყვითელი/ყავისფერი ზეთის სახით (9.67 გ, გამოსავალი 80%).

საფეხური b: 2-ეთილ-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-კარბალდეჰიდის მიღება


[00152] (2-ეთილ-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-ილ)-მეთანოლის ხსნარს (9.67 გ, 54.9 მმოლი) ტეტრაჰიდროფურანში (500 მლ) ამატებენ MnO_2 (23.88 გ, 274.5 მმოლი, 85%, გამშრალი ღუმელში 120°C -ზე, 16 საათის განმავლობაში) და ურევენ უკუმაცივრით გაცხელების პირობებში 1.5 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს ფილტრავენ ცელიტის ბალიშში, აკონცენტრირებენ დაბალ წნევაზე და იღებენ 9.4 გ (98%) პროდუქტს, რომელსაც იყენებენ შემდგომი გასუფთავების გარეშე.

მაგალითი 10: 2-ეთილ-პირაზოლო[1,5-a]პირიდინ-3-კარბონმჟავა ეთილის რთული ეთერის მიღება



[00153] ამინო-პირიდინიუმ იოდიდის ხსნარს (22 გ, 99 მმოლი) და უწყლო კალიუმის კარბონატს (17.8 გ, 128.7 მმოლი) დიმეთილფორმამიდში (225 მლ) ამატებენ ეთილ-2-პენტინოატს (24.98 გ, 198 მმოლი). ხსნარს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 24 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს ასხამენ 1.2 ლ ყინულოვან წყალში. მიღებულ ბაც ყავისფერ ნალექს აგროვებენ ვაკუუმური ფილტრაციით, აშრობენ ჰაერზე 16 საათის განმავლობაში და იღებენ ნედლ პროდუქტს (11.9 გ, 55%), რომელსაც იყენებენ შემდგომი გასუფთავების გარეშე.

მაგალითი 11: (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდის (1) მიღება



[00154] 2-(4-ბრომ-ფენილ)-პიროლიდინის ხსნარს (326 მგ, 1.44 მმოლი) დიქლორომეთანში (20 მლ) ამატებენ (2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-აცეტალდეჰიდს (250 მგ, 1.44 მმოლი), ტრიეთილამინს (0.603 მლ, 4.33 მმოლი) და ტიტანიუმ (IV) ქლორიდს დიქლორომეთანში (0.720 მლ, 1 M, 0.72 მმოლი).

მიღებულ ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე. სარეაქციო ნარევს არეაგირებენ ნატრიუმის ციანობორჰიდრიდთან (286 მგ, 4.32 მმოლი), ურევენ 2 საათის განმავლობაში, აფუძებენ pH 13-მდე 5 N ნატრიუმის ჰიდროქსიდის წყალხსნარით და წვლილავენ ეთილაცეტატით. ორგანულ შრეებს აერთიანებენ, აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ ნედლ პროდუქტამდე, რომელსაც ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე და იღებენ 3-{2-[2-(4-ბრომ-ფენილ)-პიროლიდინ-1-ილ]-ეთილ}-2-მეთილ-1H-ინდოლს (630 მგ, გამოსავალი 99%). LCMS (m/z): 384.84 (M+1).

[00155] 3-{2-[2-(4-ბრომ-ფენილ)-პიროლიდინ-1-ილ]-ეთილ}-2-მეთილ-1H-ინდოლის ხსნარს (630 მგ, 1.63 მმოლი), მეთილ აკრილატს (286 მგ, 3.26 მმოლი), $\text{Pd}_2(\text{dba})_3$ (14.9 მგ, 0.0162 მმოლი), $\text{P}(\text{t-Bu})_3\text{HBF}_4$ (18.9 მგ, 0.0652 მმოლი) და Cy_2NMe (414 მკლ, 1.95 მმოლი) დიოქსანში (10 მლ) აცხელებენ 100°C -ზე მიკროტალღურ ღუმელში, 60 წუთის განმავლობაში. ნარევს აზავებენ ეთილაცეტატით, რეცხავენ წყლით და მარილწყლით, აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ ნედლ პროდუქტამდე, რომელსაც ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე და იღებენ (E)-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს (400 მგ, 63%). LCMS (m/z): 388.97 (M+1).

[00156] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით და (E)-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის (400 მგ) გამოყენებით, იღებენ (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდს (1.26 მგ, 6.5%). LCMS (m/z): 389.9 (M+).

მაგალითი 12: (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[3-(1H-ინდოლ-3-ილ)-პროპილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდის (2) მიღება

[00157]] მაგალითში 11 აღწერილი პროცედურების მიხედვით იღებენ (E)-3-(4-{1-[3-(1H-ინდოლ-3-ილ)-პროპილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს. LCMS (m/z): 389.18 (M+1).


[00158] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით და (E)-3-(4-{1-[1-(3-(1H-ინდოლ-3-ილ)-პროპილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის (200 მგ) გამოყენებით, იღებენ (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[3-(1H-ინდოლ-3-ილ)-პროპილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდს (1.16 მგ, 8.1%). LCMS (m/z): 390.2166 (M+).

მაგალითი 13: (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდის (3) მიღება

[00159]] მაგალითში 11 აღწერილი პროცედურების მიხედვით იღებენ (E)-3-(4-{1-[2-(1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს. LCMS (m/z): 375.15 (M+1).

[00160] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით და (E)-3-(4-{1-[1-(2-(1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის (180 მგ) გამოყენებით, იღებენ (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდს (3.117 მგ, 65%). LCMS (m/z): 376.1 (M+1).

მაგალითი 14: (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{(S)-1-[2-(2-მეთილ-ინდოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდის (4) მიღება



[00161] 2-მეთილ-1H-ინდოლის ხსნარს (1.0 გ, 7.6 მმოლი) აცეტონიტრილში (25 მლ) არეაგირებენ 2-ბრომაცეტატთან (2.54 მლ, 22.9 მმოლი), ცეზიუმის კარბონატთან (2.10 გ, 11.4 მმოლი) და კალიუმის იოდიდთან (253 მგ, 1.52 მმოლი). მიღებულ ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 16 საათის განმავლობაში. ნარევს აზავენ ეთილაცეტატით, რეცხავენ წყლით და მარილწყლით, აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ. ნაშთს ასუფთავებენ და იღებენ (2-მეთილ-ინდოლ-1-ილ)-

ძმარმჟავა ეთილის რთულ ეთერს (1.36 გ, გამოსავალი 82%). LCMS (m/z): 218.1 (M+1).

[00162] (2-მეთილ-ინდოლ-1-ილ)-ძმარმჟავა ეთილის რთულ ეთერის ხსნარს (400 მლ, 1.97 მმოლი) დიმეთოქსიეთან-დიქლორმეთანში (1:1, 30 მლ) აცივებენ - 70°C-მდე და არეაგირებენ დიიზობუტილ ალუმინის ჰიდრიდთან ციკლოჰექსანში (3.9 მლ, 1.0 M). სარეაქციო ნარეგს ურევენ 70°C-ზე, 4 საათის განმავლობაში და რეაქციას ახშობენ მარილმჟავას წყალხსნარით (80 მლ, 1 N). წვლილავენ ეთილაცეტატით. ორგანულ შრეებს აერთიანებენ, აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ. ნაშთს ასუფთავებენ და იღებენ (2-მეთილ-ინდოლ-1-ილ)-აცეტალდეჰიდს (234 მგ, გამოსავალი 75%). LCMS (m/z): 206.1 (M+1).

[00163] მაგალითში 3 აღწერილი პროცედურების მიხედვით (2-მეთილ-ინდოლ-1-ილ)-აცეტალდეჰიდიდან (100 მგ) იღებენ (E)-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს (73 მგ, 50%). LCMS (m/z): 389.2 (M+1).

[00164] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{(S)-1-[2-(2-მეთილ-ინდოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდს (4, 76 მგ, 67%) იღებენ (E)-3-(4-{1-[2-(2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერიდან (113 მგ). LCMS (m/z): 390.33 (M+1).

მაგალითი 15: (E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[(S)-1-(2-ინდოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ}-აკრილამიდის (5) მიღება

[00165] მაგალითში 14 აღწერილი პროცედურების მიხედვით, იღებენ ინდოლ-1-ილ-აცეტალდეჰიდს. LCMS (m/z): 158.1 (M-1).

[00166] მაგალითში 3 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-3-(4-{(S)-1-(2-ინდოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამჟავა მეთილის რთულ ეთერს (125 მგ, 50%) იღებენ ინდოლ-1-ილ-აცეტალდეჰიდიდან (180 მგ). LCMS (m/z): 375.3 (M+1).

[00167] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-N-ჰიდროქსი-3-{4-[(S)-1-(2-ინდოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-

აკრილამიდს (5.36 მგ, 18%) იღებენ (E)-3-(4-[(S)-1-(2-ინდოლ-1-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერიდან (197 მგ). LCMS (m/z): 376.2026 (M+1).

მაგალითი 16: (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-[(S)-1-[2-(5-მეთოქსი-2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ)-აკრილამიდის (6) მიღება

[00168] მაგალითში 3 აღწერილი პროცედურების მიხედვით, იღებენ (E)-3-(4-[(S)-1-[2-(5-მეთოქსი-2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს (140 მგ, 50%). LCMS (m/z): 418.8 (M+).

[0100] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-[(S)-1-[2-(5-მეთოქსი-2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ)-აკრილამიდს (6.101 მგ, 72%) იღებენ (E)-3-(4-[(S)-1-[2-(5-მეთოქსი-2-მეთილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ]-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერიდან (140 მგ). LCMS (m/z): 420.2 (M+).

მაგალითი 17: (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(2-ფენილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდის (7) მიღება

[0101] მაგალითში 11 აღწერილი პროცედურების მიხედვით, იღებენ (E)-3-(4-{1-[2-(2-ფენილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს. LCMS (m/z): 451.15 (M+).

[0102] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-N-ჰიდროქსი-3-(4-{1-[2-(2-ფენილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილამიდს (7.74 მგ, 21%) იღებენ (E)-3-(4-{1-[2-(2-ფენილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერიდან (360 მგ). LCMS (m/z): 451.86 (M+).

მაგალითი 18: (E)-N-ჰიდროქსი-3-[4-(1-{2-[2-(5-მეთილ-იზოქსაზოლ-3-ილ)-1H-ინდოლ-3-ილ]-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-აკრილამიდის (8) მიღება


[0103] ენერგიული მორევის პირობებში, POCl_3 -ს (1.4 მლ, 15 მმოლი) ნელ-ნელა ამატებენ დიმეთილფორმამიდში (2 მლ), 0°C -ზე. შემდეგ ამატებენ *N,N*-დიმეთილფორმამიდში (8 მლ) გახსნილ 2-(5-მეთილ-იზოქსაზოლ-3-ილ)-1H-ინდოლს (1.0 გ, 5.04 მმოლი). სარეაქციო ნარეგს ტოვებენ ოთახის ტემპერატურამდე გასათბობად, ურევნ 4 საათის განმავლობაში და აცივებენ ყინულოვანი წყლით, რასაც მოსდევს 10% ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის დამატება. მიღებულ ნალექს რეცხავენ წყლით, აშრობენ ვაკუუმში და ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე (30% ეთილაცეტატი პეტროლეუმეთერში. იღებენ 2-(5-მეთილ-იზოქსაზოლ-3-ილ)-1H-ინდოლ-3-კარბალდეჰიდს (0.6 გ, 2.65 მმოლი), თეთრი მყარი ნივთიერების სახით.

[0104] მაგალითში 6 აღწერილი პროცედურების მიხედვით, [2-(5-მეთილ-იზოქსაზოლ-3-ილ)-1H-ინდოლ-3-ილ]-აცეტალდეჰიდს (0.4გ) იღებენ ზემომოყვანილი აღდგენიდან.

[0105] მაგალითში 3 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-3-[4-((S)-1-{2-[2-(5-მეთილ-იზოქსაზოლ-3-ილ)-1H-ინდოლ-3-ილ]-ეთილ}-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს (0.16 გ, 0.35 მმოლი) იღებენ ზემომოყვანილი აღდგენიდან (0.3 გ, 1.12 მმოლი, გამოსავალი 31%).

[0106] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით, იღებენ (E)-N-ჰიდროქსი-3-[4-(1-{2-[2-(5-მეთილ-იზოქსაზოლ-3-ილ)-1H-ინდოლ-3-ილ]-ეთილ}-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ]-აკრილამიდს (8, 0.12 გ), მყარი ღია ყავისფერი მყარი ნივთიერების სახით. LCMS (m/z): 457.2 ($M+1$).

მაგალითი 19: (E)-3-(4-((S)-1-[2-(2-მესაზბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდის (9) მიღება



საფეხური a: 2-მესამბუტილ-3-(2,2-დიმეთოქსი-ეთილ)-6-ნიტრო-1H-ინდოლის მიღება

[0107] 2-ბრომ-5-ნიტრო-ფენილამინს (4.9 გ, 22.6 მმოლი), $\text{Pd}_2(\text{dba})_3$ (207 მგ, 0.226 მმოლი) და 2-დიციკლოჰექსილფოსფინო-2',4',6'-ტრიიზოპროპილბიფენილი (431 მგ, 0.904 მმოლი) შეაქვთ 500 მლ-იან მრგვალძირა კოლბაში. კოლბიდან ტუმბავენ ჰაერს და სამჯერ აქრევენ აზოტით. ამატებენ 1,1-დიმეთოქსი-5,5-დიმეთილ-ჰექს-3-ინს (4.61 გ, 27.1 მმოლი), დიციკლოჰექსილ-მეთილ-ამინს (14.5 მლ, 67.8 მმოლი) და *N,N*-დიმეთილფორმამიდს (56.5 მლ). სარეაქციო ნარევეს ურევენ 100°C -ზე, 24 საათის განმავლობაში, აცივებენ ოთახის ტემპერატურაზე და ფილტრავენ ცელიტის ბალიშში, რომელსაც რეცხავენ ეთილაცეტატით. ფილტრატს და ჩამონარეცხს აერთიანებენ, რეცხავენ წყლით და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი ხსნარით, აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ ვაკუუმში. ნედლ პროდუქტს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე და იღებენ მიზნობრივ ნაერთს, ნარინჯისფერი ფხვნილის სახით (1.41 გ, 20%). LCMS (*m/z*): 307.1 (*M*+1).

საფეხური b: (2-მესამბუტილ-5-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-აცეტალდეჰიდის მიღება

[0108] 2-მესამბუტილ-3-(2,2-დიმეთოქსი-ეთილ)-6-ნიტრო-1H-ინდოლის ხსნარს (1.08 გ, 3.54 მმოლი) დიქლორომეთანში (11.8 მლ) წვეთწვეთობით ამატებენ ტრიფთორმმარმეჟას (5.9 მლ, 50% წყლიანი), 0°C -ზე. სარეაქციო ნარევეს ათბობენ ოთახის ტემპერატურამდე და შემდეგ აცივებენ ნატრიუმის ბიკარბონატის ნაჯერი ხსნარით, ნეიტრალური pH მიღწევამდე. ნარევეს ყოფენ და წყლიან ფაზას სამჯერ წვლილავენ დიქლორმეთანით (75 მლ). კომბინირებულ ორგანულ ფაზებს რეცხავენ ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი ხსნარით, აშრობენ მაგნიუმის სულფატზე, ფილტრავენ, აკონცენტრირებენ ვაკუუმში და იღებენ მიზნობრივ ნაერთს, ნარინჯისფერი ფხვნილის სახით (546 მგ, 59%). LCMS (*m/z*): 261.0 (*M*+1).


[0109] მაგალითში 3 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-3-(4-((S)-1-[2-(2-მესამბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს (0.11 გ, 0.231 მმოლ, გამოსავალი 40%)

იღებენ (2-მესაზბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-აცეტალდეჰიდიდან (0.15 გ, 0.576 მმოლი).

[0110] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-3-(4-((S)-1-[2-(2-მესაზბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდს (9, 41 მგ, 0.086 მმოლი, გამოსავალი 37%) იღებენ მყარი ყვითელი ნივთიერების სახით. LCMS (m/z): 477.2 (M+1).


მაგალითი 20: (E)-3-(4-((1-[2-(2-მესაზბუტილ-6-მეთანსულფონილამინო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდის (10) მიღება

საფეხური a: (2-მესაზბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-აცეტალდეჰიდის მიღება




[0111] 2-მესაზბუტილ-3-(2,2-დიმეთოქსი-ეთილ)-6-ნიტრო-1H-ინდოლის ხსნარს (0.80 გ, 2.6 მმოლი) მეთილენ ქლორიდში (10 მლ) ამატებენ ტრიფთორომარმეჟას (5 მლ, 50%) 0°C-ზე და მიღებულ ხსნარს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 6 საათის განმავლობაში. ამატებენ ნატრიუმის ბიკარბონატს ნაჯერ ხსნარს, pH>7-მდე. წყლიან შრეს რამდენჯერმე წვლილავენ მეთილენქლორიდით. კომბინირებულ ორგანულ შრეებს აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ *ვაკუუმში*. ნაშთს ასუფთავებენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე და იღებენ მიზნობრივ ნაერთს (0.62 გ, 91%). LCMS (m/z): 261.0 (M+1).

საფეხური b: (E)-3-(4-((1-[2-(2-მესაზბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ)-ფენილ)-აკრილმეჟა მეთილის რთული ეთერის მიღება



[0112] (2-მესამბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-აცეტალდეჰიდის ხსნარს (0.74 გ, 2.8 მმოლი) ტეტრაჰიდროფურანში (20 მლ) ამატებენ (E)-3-(4-პიროლიდინ-2-ილ-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ჰიდროქლორიდს (0.91 გ, 3.4 მმოლი) და ტრიეთილამინს (871 მკლ, 6.26 მმოლი). მიღებულ ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 1 საათის განმავლობაში, აზავენ ეთილაცეტატით და რეცხავენ ნატრიუმის ბიკარბონატის და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარით. ორგანულ შრეს აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ *ვაკუუმში*. ნაშთს ასუფთავენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე და იღებენ მიზნობრივ ნაერთს (0.77 გ, 57%). LCMS (m/z): 476.2539 (M+1).


საფეხური c: (E)-3-(4-{1-[2-(6-ამინო-მესამბუტილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის მიღება



[0113] (E)-3-(4-{1-[2-(2-მესამბუტილ-6-ნიტრო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ხსნარს (0.70 გ, 1.5 მმოლი) ეთანოლში (14 მლ) და წყალში (7 მლ) ამატებენ რკინის ფხვნილს (0.74 გ, 13 მმოლი) და ამონიუმის ქლორიდს (87 მგ, 1.6 მმოლი). მიღებულ ნარევს ურევენ 85°C-ზე, 1 საათის განმავლობაში. შემდეგ კიდევ ამატებენ რკინის ფხვნილს (820 მგ, 14.7 მმოლი), ეთანოლს (6 მლ) და წყალს (3 მლ) და სარეაქციო ნარევს ურევენ 85°C-ზე, 50 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს ფილტრავენ და აკონცენტრირებენ *ვაკუუმში*. ნაშთი

გადააქვთ წყალში. ვაკუუმური ფილტრაციით იღებენ მიზნობრივ ნაერთს, მყარი ნივთიერების სახით (0.40 გ, გამოსავალი 49%). LCMS (m/z): 446.0 (M+1).

საფეხური d: (E)-3-(4-{1-[2-(2-მესაზბუტილ-6-მეთანსულფონილამინო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის მიღება




[0114] (E)-3-(4-{1-[2-(6-ამინო-2-მესაზბუტილ-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთული ეთერის ხსნარს (0.70 გ, 1.6 მმოლი) დიქლორომეთანში (7 მლ) ამატებენ მეთანსულფონილ ქლორიდს (0.198 გ, 1.73 მმოლი), ტრიეთილამინს (241 მკლ, 1.73 მმოლი). მიღებულ ხსნარს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე, 1 საათის განმავლობაში, აზავენ ეთილაცეტატით და რეცხავენ 1 N მარილმჟავით, ნატრიუმის ბიკარბონატით ნაჯერი ხსნარით და ნატრიუმის ქლორიდის ნაჯერი წყალხსნარით. ორგანულ შრეს აშრობენ ნატრიუმის სულფატზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ ვაკუუმში. ნაშთს ასუფთავენ ქრომატოგრაფიით სილიკაგელის სვეტზე და იღებენ მიზნობრივ ნაერთს (0.21 გ, 26%). LCMS (m/z): 523.9 (M+1).

[0115] მაგალითში 2 აღწერილი პროცედურების მიხედვით, (E)-3-(4-{1-[2-(2-მესაზბუტილ-6-მეთანსულფონილამინო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-აკრილმჟავა მეთილის რთულ ეთერს (200 მგ) გარდაქმნიან (E)-3-(4-{1-[2-(2-მესაზბუტილ-6-მეთანსულფონილამინო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-N-ჰიდროქსი-აკრილამიდში (10, 83 მგ, გამოსავალი 41%). LCMS (m/z): 525.2535 (M+1).

მაგალითი 21: (E)-3-(4-{1-[2-(2-მესაზბუტილ-1-მეთანსულფონილ-6-მეთანსულფონილამინო-1H-ინდოლ-3-ილ)-ეთილ]-პიროლიდინ-2-ილ}-ფენილ)-N-

ჰიდროქსი-აკრილამიდის (11) მიღება



საფეხური a: 2-მესაბუტილ-3-(2,2-დიმეთოქსი-ეთილ)-1H-ინდოლ-6-ილამინის მიღება

